# საერთო გაზეთი

№35 (446) • 27 სექტემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## ქართული პოლიტიკის დიდი ღამე და დილა, რომლის გათენებას ჯერ კიდევ ველოდებით



საუბრების ციკლი ბატონ **ირაკლი ბოგვასთან,** რომელიც „საერთო გაზეთის“ მკითხველს აქამდე უცნობ მრავალ სკანდალურ ინფორმაციას უმხელს

„ვარდების რევოლუცია“ ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, ხოლო მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო მასშტაბის თაღლითია, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თავის ჯგუფთან ერთად, 18 მილიარდამდე ლარი „გამოიმუშავა“



**გვანცა ყუფარაძე:**

## მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა, ევროპულმა სასამართლომ კი – ყველაფერს ხაზი გადაუსვა

## ქვიანი დავითი და კაბაში გადაცმული „ტიგრანები“ რესპუბლიკური პარტიიდან

## მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, დონალდ ჯ. ტრამპს

## თბილისის მერის არჩევნებია თუ „პრარაბების“ კონკურსი?



თბილისის მერი პირდაპირი გზით არჩეული ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ზურგს ამომრჩეველთა მილიონიანი ლაშქარი უმაგრებს.

მას უკეთესობისკენ შეუძლია შეცვალოს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის ბედი, იყოს ახალი იდეების, ახალი ინიციატივების, ახალი კონცეფციების წარმმართველი ძალა, ან იყოს კეთილსინდისიერი „პრარაბი“, რომელიც დააგებს გზებს, გამოცვლის კანალიზაციის მილებს, ააშენებს ახალ სახლებს, თავის დროზე დაასუფთავებს და გამოგვის ქალაქს, მაგრამ ამით ამ ქალაქში და არც ამ ქვეყანაში თვისობრივად არაფერი შეიცვლება.

**მამუკა არეშიძე:**

## არჩევნები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდება





**მამისა ჯაფარაშვილი:**

## თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში მხოლოდ ბანკირები, მევახშეები და უცხოელები დარჩებიან

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ფრაგმენტები საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის გამოსვლიდან გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე

## 2017 წლის 22 სექტემბერი



**ბატონო პრეზიდენტო,**
**პატივცემულო დელეგატებო,**
**ქალბატონებო და ბატონებო,**

პირველ რიგში, ნება მომეცით, მივუსამძიმრო და თანადგომა გამოვუცხადო ბოლო დღეებში ჩრდილოეთ ამერიკაში მომხდარი სტიქიური უბედურებების გამო დაზარალებულებს – ქარიშხლებმა უდიდესი ზიანი მიაყენა კარიბის ზღვის კუნძულ-ქვეყნებს და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ რეგიონს, ხოლო მიწისძვრამ კატასტროფა გამოიწვია მექსიკაში. ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ამ ქვეყნების მთავრობებს და ხალხს. არც ერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, არ არის დაზღვეული სტიქიისგან. ასეთ დროს კი სოლიდარობა აძლიერებს განსაცდელში მყოფ ქვეყნებს.

თქვენო აღმატებულებავ,

ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი თანამემამულეებისთვის, საამაყოა, რომ დღეს თქვენ წინაშე გამოსვლის პატივი მერგო. გზავნილი, რომლის გაჟღერებაც დღეს მე მომანდეს, მათ პირადად აქვთ განცდილი და შესისხლხორცებული.

ეს გზავნილი, მათი გზავნილი მარტივი და გულწრფელია. ჩვენი სტრატეგიის ცენტრში საქართველოს მოქალაქეები არიან და ამით ვცდილობთ ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომ გაძლიერებას და მშვიდობისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ესენია მდგრადი განვითარების არსებითი ელემენტები, რომლებიც გვაკავშირებს ჩვენს პარტნიორებთან რეგიონსა და მთელ მსოფლიოში.

წელს აღინიშნება გაეროში საქართველოს გაწევრიანების 25-ე წლისთავი. ამ პერიოდის განმავლობაში წარმატებით გარდავქმენით ჩვენი ქვეყანა გაეროს ჰუმანიტარული დახმარების მიმღებიდან წამყვან რეფორმატორად, რომელიც ახლახან აირჩიეს ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარედ.

ამ მოვალეობის შესრულებას საქართველო იწყებს იმავე ხედვით, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ შინ – ყურადღების ცენტრში ყოველთვის მოქალაქეები არიან.

საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში ღია მმართველობის პარტნიორობა ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ეს განსაკუთრებით ეხება მე-16 მიზანს, ეს არის მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა.

ეროვნულ სტრატეგიებად მათი გარდაქმნის გზით მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისას იკვეთება თავად გაეროს ინსტიტუციური რეფორმის აუცილებლობა და გენერალური მდივნის, გუტიერეშის ახალი ხედვის მხარდაჭერის საჭიროება, რომელიც ასახულია ჩვენ მიერ ახლახან ხელმოწერილ დეკლარაციაში.

...ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა ყველა საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით.

**Fraser Institute**-ის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თანახმად, საქართველო მე-5 ადგილზეა მსოფლიოში.

ჩვენ სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ კორუფციას. **Heritage Foundation**-ის 2017 წლის რეიტინგის თანახმად, კორუფციისგან თავისუფლების კატეგორიაში საქართველო 31-ე ადგილზეა, ანუ მისი პოზიციები 38 ადგილით გაუმჯობესდა 2012 წელთან შედარებით. იმავეს ადასტურებს **Transparency International**-ის 2016 წლის მონაცემები – საქართველო პირველ ადგილზეა რეგიონში.

ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ კერძო საკუთრების დაცვას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016–2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, 2012 წლის შემდეგ საქართველოს პოზიციები 77 პუნქტით გაუმჯობესდა.

ჩვენ ურყევად ვიცავთ მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თანახმად, ამ მხრივ, ჩვენი პოზიციები 28 პუნქტით გაუმჯობესდა და დღეს 63-ე ადგილზე ვართ, მაშინ როცა სულ ახლახან 91-ე ადგილზე ვიყავით.

რაც შეეხება სამართალდაცვასა და ფიზიკურ უსაფრთხოებას, ამ უმნიშვნელოვანეს სფეროებს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კატეგორიაში საქართველომ 67-ე ადგილიდან 26-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, გაუმჯობესება 41 ადგილით.

...საკონსტიტუციო რეფორმის პარალელურად, სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, დავიწყეთ ჩვენი ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის განხორციელება.

წამოვიწყეთ განათლების სფეროს ამბიციური რეფორმა, რათა ერთმანეთს დავუკავშიროთ განათლების სისტემა და ინდუსტრია, რათა განვავითაროთ მოთხოვნაზე დაფუძნებული უმაღლესი და პროფესიული განათლება და გავაუმჯობესოთ ჩვენი სამუშაო ძალის ეკონომიკური უნარები და შესაძლებლობები.

ნოვატორ საზოგადოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების წარმატებისთვის. ვაგრძელებთ შემდგომ ინვესტიციებსა და შრომას ჩვენი ეროვნული ეკოსისტემის სასიკეთოდ, რათა მოხდეს მისი ინტეგრაცია გლობალურ ეკოსისტემაში და ჩვენს ნოვატორებს გაეხსნათ გზები მსოფლიო ბაზრებისკენ.

...საქართველოში ინვესტირების წახალისების მიზნით, განვახორციელეთ ამბიციური საგადასახადო რეფორმა, რომელიც გულისხმობს მოგების გადასახადის გაუქმებას გაუნაწილებელ შემოსავლებზე და საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ლიბერალიზაციას.

ჩვენი მოლოდინით, წელს მიღწეული იქნება 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, ხოლო შემდგომ წლებში – 7-პროცენტიანი და კიდევ უფრო მეტი.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი საქართველოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების გატარების საქმეში, რაც გულისხმობს ქვეყნის გარდაქმნას ბიზნესის წარმოების რეგიონულ ცენტრად, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურების სწრაფი მიწოდების უზრუნველსაყოფად ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი და ლოგისტიკა, ასევე – პროდუქციის მისაწოდებლად ბაზარზე. ჩვენ ამას ვუყურებთ როგორც სამუშაო ადგილების შექმნისა და მოქალაქეთა სიღარიბიდან ამოყვანის ძლიერ საშუალებას. მსოფლიო სავალუტო ფონდთან ერთად მრავალწლიანი პროგრამის განხორციელებაზე შევთანხმდით და უზრუნველვყავით სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ რამდენიმე მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტების დაფინანსება.

საქართველომ, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით) და მიაღწია ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციას. იმავდროულად, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც ხელი მოაწერა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. ერთი მხრივ, ჩვენ ვახორციელებთ ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და, მეორე მხრივ, ვიზიდავთ აზიის ბაზრებს, რაც საქართველოს შაძლევს ესაძლებლობას, სრულად გამოიყენოს თავისი თავისუფალი ვაჭრობის ქსელები ჩვენი დროის ამ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო წამოწყებაში.

ჩვენ წვლილი შეგვაქვს ინიციატივაში „ერთი სარტყელი – ერთი გზა", რომელიც ხელს შეუწყობს ევროპასა და აზიას შორის მაღალი ღირებულების პროდუქციითა და მომსახურებით ვაჭრობაში და მნიშვნელოვნად შეამცირებს გადაზიდვებისათვის საჭირო დროს ევრაზიის პერიფერიის შემოვლით, ტრადიციულ საზღვაო მარშრუტებთან შედარებით.

ამ დიდი წამოწყების ფარგლებში, აზია და ევროპა შეხვდებიან ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის მეშვეობით, რომელსაც ვახორციელებთ თურქ და აზერბაიჯანელ პარტნიორებთან ერთად, ასევე საქართველოს შავიზღვისპირეთში, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად აშენებული ანაკლიის პორტის მეშვეობით. ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს შეეძლება ყველაზე დიდი ტევადობის გემების მიღება, რაც ბევრად გაზრდის საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობებს. ამ პორტს ააშენებს პროექტის რამდენიმე საერთაშორისო მონაწილე და მისი ოპერატორი იქნება ცნობილი ამერიკული კომპანია.

დღეს მიწისზედა ტრანსპორტით აღმოსავლეთ აზიიდან საქართველოში ჩამოსვლა შესაძლებელია ათზე ნაკლები დღის განმავლობაში, ხოლო ჩვენგან ევროპის ნებისმიერ პორტში ხუთ დღეში ჩახვალ თ. ჩვენ ვაშენებთ ყველაზე ეფექტიან მულტიმოდალურ სატრანზიტო ინფრასტრუქტურას და ეს ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს შესაბამის კავშირებსა და პროცესებს, აგრეთვე განამტკიცებს ურთიერთობებს სახელმწიფოებსა და მოქალაქეებს შორის ევროპიდან აზიამდე. ეს არის ურყევი და არსებითი კავშირი საქართველოს მოქალაქეებისათვის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და რეგიონში კეთილდღეობისა და მშვიდობის განმტკიცებას შორის.

გამოწვევებით, მიმდინარე და გაყინული კონფლიქტებით, სახელმწიფოთა და სხვათა მხრიდან აგრესიით აღსავსე დღევანდელ მსოფლიოში არც საქართველოა გამონაკლისი. და აქაც ჩვენი პოლიტიკის ცენტრში ჩვენი მოქალაქეები დავაყენეთ. გაეროს წევრებმა კარგად იციან, რომ რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაციას, რითაც არღვევს არაერთ საერთაშორისო ვალდებულებას, რომელიც მას აკისრია, მათ შორის, უშიშროების საბჭოსა და გაეროს გენერალური ასამბლეის ათობით რეზოლუციას.

...2014 წელს საქართველო გახდა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციის წევრი და შეუერთდა სამ შესაბამის სამუშაო ჯგუფს – ფინანსირების წინააღმდეგ, გზავნილების წინააღმდეგ და უცხოელი ტერორისტების წინააღმდეგ მოქმედ ჯგუფებს. საქართველო შეუერთდა გაეროს 14 ანტიტერორისტულ კონვენციას, ასევე ევროპულ კონვენციას ტერორიზმის აღკვეთის შესახებ და პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს.

საქართველო იზრდება. საქართველო არის სიცოცხლით სავსე. საქართველო მტკიცეა გამოწვევებთან ბრძოლაში, საქართველო ასრულებს თავის ვალდებულებებს. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს მისი მოქალაქეები შეადგენენ. მათ ცენტრალური ადგილი უჭირავთ საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში და ეს მუდამ ასე იქნება.

საქართველომ ხელი გაუწოდა მსოფლიოს და მსოფლიომაც არ დააყოვნა ჩვენთან მოსვლა. მსოფლიოსთან უფრო მტკიცე კავშირებს კი სარგებელი, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეებისთვის მოაქვს. მათი ეკონომიკური წარმატება არის როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ მდგრადი კეთილდღეობის წინაპირობა. დღეს მე მოგმართავთ, როგორც ჩვენი ერის მსახური და მადლობას მოვახსენებ ყველას, ვისაც უყვარს და ვინც მხარს უჭერს საქართველოს.

დიდი მადლობა!

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

## მამუკა არეშიძე:

# არჩევნები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდება

*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:*

**— ბატონო მამუკა, არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. რა მოლოდინები გაქვთ, რა გადალაგებებია პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?**

— სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე, ბევრი სალაპარაკო არც არის. ძირითადად, არჩევნები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაინც „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდება, გადამწყვეტი უმრავლესობა მათი იქნება. რიგ საკრებულოებში, შესაძლოა „ქართულ ოცნებას“ პრობლემა შეექმნას, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება, არჩევნების მიმართ, პასიურია. მას აღარ აინტერესებს საარჩევნო თემა იმიტომ, რომ ძალიან იმედგაცრუებულია. ეს იმ შეცდომების ბრალია, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაუშვეს. სამწუხაროდ, ასე მოხდა. იმედგაცრუება



იმითაც არის განპირობებული, რომ მმართველ პარტიაში „ნაცმოძრაობიდან“ ძალიან ბევრია პორტირებული განსაკუთრებით, რეგიონებში, თუმცა, თბილისშიც არ არის ნაკლები. საზოგადოებას მობეზრდა პარტიიდან პარტიაში გადასული ადამიანების ხილვა, რომელთაც მუდმივად პოლიტიკურ ზედაპირზე ტივტივი სურთ. მთელი საქართველოს მასშტაბით ვერ ვადევნებ თვალს, მაგრამ გეტყვით, რომ ქვემო ქართლის რეალობა, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესოა. ავიღოთ, გარდაბნის რაიონი, სადაც „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი არის რამაზ ბუდაღაშვილი. იგი 2012 წლის არჩევნებზე, როცა მე კენჭს ვიყრიდი საოლქო კომისიის თავმჯდომარე იყო. ეს ის პიროვნება გახლავთ, ვინც ჩემს კონკურენტს „ნაცმოძრაობიდან“ — თემურ ფეიქრიშვილს გაყალბებული არჩევნები დაუმტკიცა. ბუდაღაშვილი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა არჩევნებში „ნაცმოძრაობას“ გაემარჯვა. ეს იქ ყველამ იცის. აქედან გამომდინარე, მის მიმართ აგრესია ძალიან მაღალია. იცით, რა მაწუხებს ყველაზე მეტად — ჩვენივე მოქმედებით საზოგადოებას რომ ვხრწნით — ვაჩვევთ ტყუილს და იმას, რომ მათი ნება გადამწყვეტი არ არის. არადა, დემოკრატიული არჩევნების პრინციპი ეს არის — ხალხის ნება გადამწყვეტია. ის აქტივი რაც „ქართულ ოცნებას“ გარდაბანში ჰყავდა, პრაქტიკულად აღარ არის, შეიქმნა ახალი აქტივი, რომელიც ძირითადად, მედროვე ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ჩვენ, საქართველოში არჩევნების პროცესში მედროვეობის მომგებიანობის პრინციპი დავამკვიდრეთ, რაც საშინელებაა.

**— თქვენ „ქართული ოცნების“ შეცდომებზე ისაუბრეთ, ხაზი გაუსვით კოაბიტაციასაც, რაც დღემდე გრძელდება...**

— კოაბიტაციის ის ფორმა, რომელიც აქ არის მიღებული, კონტრ-პროდუქტიულია. მესმის, რომ კოაბიტაციის გარეშე მუდმივ სამოქალაქო დაპირისპირებას მივიღებდით. 2012 წელს „ქართული ოცნების“ ხელსიუფლებას ასე წარმოედგინა — სამოქალაქო დაპირისპირების შესუსტება შესაძლებელი იქნებოდა „ნაცმოძრაობის“ აქტივში მყოფი ადამიანების გადმობირებით. მაგრამ ქართველი საზოგადოების პატიოსანი ნაწილი „ნაცმოძრაობას“ როგორც დამნაშავე პარტიას ისე აღიქვამდა და აღიქვამს.ე.ი. „ნაცების“ წევრების უდიდესი უმრავლესობა ხალხისთვის დღემდე მიუღებელია. დღეს, ნაცები რამოდენიმე ლიდერის გარდა, რომელთაგან ზოგი დაპატიმრებულია, ზოგიც ქვეყნიდან არის წასული, პოლიტიკურ სივრცეში გადასარევად გრძნობენ თავს. როგორ ვთქვა, მაგრამ ვინც „ნაცმოძრაობაში“ დარჩა ბევრად უფრო წესიერი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა პარტიებში ან „ქართულ ოცნებაში“ გადანაწილებულები. მართალი გითხრათ, არ მესმის თავის გამართლების ეს ფორმა — იძულებული ვიყავი მაშინ ასე მოვქცეულიყავი, თორემ ოჯახს დამიქცევდნენო. ამ „საბუთს“ ვერ მივიღებ იმიტომ, რომ ვიცი ადამიანები, რომელთაც ეს ნაბიჯი არ გადადგეს, ოჯახი დაუწიოკეს, ციხეშიც მოხვდნენ, მაგრამ დღეს, ისევ ისე ჩვეულებრივი მოქალაქენი არიან და „ქართული ოცნებიდან“ არავითარი პრეფერენციები არ აქვთ. ანუ, ადამიანები, რომელთაც საკუთარ თავზე ტანჯვა-წამება გადაიტანეს, დღეს, ისევ პოლიტიკური თამაშის მიღმა არიან. ისინი კი ვინც ეს ხალხი აწამა, ისევ თეთრ ცხენზე სხედან. აი, რა არის მთავარი შეცდომა.

**— როგორც აღნიშნეთ, არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებსო, მაგრამ ცალკე საკითხია, ვის ირჩევს რეალურად ხალხი — „ქართულ ოცნებას“ თუ „ნაცმოძრაობით“ შეფერადებულ რაღაც ახალ წარმონაქმნს?**

— „ქართული ოცნება“ არ იმეორებს „ნაცმოძრაობის“ მთავარ შეცდომას — საზოგადოება მათთვის მხოლოდ საციხო მასალა არ არის. აქედან გამომდინარე, შეფერადებულია თუ არა, „ნაცების“ 9 წლიან მმართველობას, ხალხს მაინც ეს ურჩევნია. თუმცა, ხალხი კალაძეს უჭერს მხარს და არა იმ იდეოლოგიას, რომელსაც „ქართული ოცნება“ დეკლარირებს. მიუხედავად იმისა, რომ კალაძის პროგრამაში ბევრია ნათქვამი ეკოლოგიის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შესახებ, მაინც პიროვნებას უჭერენ მხარს. იმიტომ, რომ ის რასაც „ქართული ოცნება“ დღეს გვთავაზობს, სხვა დროს უკვე მოსმენილი გვაქვს.

ხელისუფლებას არ ეყო ნება ხალხთან ისეთი კომუნიკაცია შეექმნა, რომ საზოგადოება მის მიერ გაკეთებული სიკეთეების მნიშვნელობაში დარწმუნებულიყო. მათ თავიდანვე დაუშვეს შეცდომა როცა თქვეს: პიარი არ გვჭირდებაო.



პიარი ყველაფერს სჭირდება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დღევანდელ სახელისუფლო უწყებებში მყოფი შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ძალიან უსუსურად გამოიყურებიან, თვლიან, რომ ხალხთან ურთიერთობა აუცილებელი არ არის. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასა და ხალხს შორის, ხელოვნურად შექმნილი გაუცხოებაა.

**— იქნება თუ არა მეორე ტური?**

— დღეს, ეს საეჭვოა იმიტომ, რომ ოპოზიციური რიგები ძალიან დაიყო. მათ ერთი ან ორი კანდიდატი რომ გამოეყვანათ, კიდევ შეიძლებოდა მეორე ტურზე ლაპარაკი. მეორე ტური შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კალაძე საჭირო რაოდენობის ხმებს ვერ დააგროვებს ან ცოტა დააკლდება 2–3%, მაგრამ განსხვავება პირველ და მეორე ადგილს შორის რომ ძალიან მაღალი იქნება, ამას თავად ნახავთ.

„ქართული ოცნება“ არის პარტია, რომელშიც განუწყვეტლივ ხდება სხვადასხვა ძალების როტაცია. თუ მიადევნებთ თვალს, რეგიონებში ხშირად ხდება ასე: „ქართული ოცნება“ უცებ, წინასაარჩევნოდ ათავისუფლებს ხალხს თავისი რიგებიდან. შე მამაცხოვნებულო, თუ ეს ხალხი არ მოგწონს თავიდანვე გაათავისუფლე, გარიცხე პარტიიდან. ადამიანები არჩევნების წინ იგებენ, რომ ისინი სიაში ვერ ხვდებიან ან მათი სამსახური აღარ სჭირდებათ. ერიდებათ თქმა თუ რა არის? „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში სხედან ადამიანები, რომლებიც არ მახსოვს 2012 წელს, მეტიც, არც 2016-ში. ისინი, უცებ, საიდანღაც გაჩნდნენ და დღეს წამყვანი ფუნქცია აკისრიათ. ასეთი ტიპის როტაცია ყველა პარტიაში ხდება, მაგრამ ასეთი რაოდენობით არა.

**— ბატონო მამუკა, ამ მოვლენების პარალელურად, გააქტიურდა სააკაშვილი, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. მას უკრაინაში, ალბათ, განსაკუთრებული პოლიტიკური**



**მომავალი არ აქვს. სად მიდის მერე, ხომ არ ვიხილავთ ისევ საქართველოში?**

— თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილს უკრაინაში პოლიტიკური მომავალი არ აქვს. მას არც საქართველოში ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკური მომავალი. ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ცარიელ ადგილზე საკუთარი თავისთვის პოლიტიკური მომავალი შეიქმნას. ამის ნიჭი აქვს. იგი არის ბოროტი გენიის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ერთი ხელით აშენოს, მეორეთი საკუთარი აშენებული დაანგრიოს. მისთვის არ არსებობს ადამიანების განწყობები, მორალური პრინციპები, მას შეუძლია გვამებზე იაროს, მაგრამ საბოლოო ჯამში, მიზანს მიაღწიოს. ასე, რომ ჯერ არ ვიცით, აქვს თუ არა მას უკრაინაში პოლიტიკური მომავალი იმიტომ, რომ უკვე აშკარაა, მან მოახერხა ის, რაც ჩაიფიქრა. კერძოდ, ძალიან სერიოზულად შეაჯანჯღარა უკრაინის პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

უკრაინის დღევანდელი კანონმდებლობით მას პრეზიდენტის პოსტის დაკავება არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია უკრაინაში ისეთი აჟიოტაჟი შექმნას, რომ გახდეს მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, პრემიერ-მინისტრიც კი. მას ბევრი მიმდევარი ჰყავს იმიტომ კი არა, რომ მასზე გიჟდებიან, არამედ სწორი პიარის გამო. მეორეც, პოროშენკოსნაირი ხელმძღვანელები და მისი გარემოცვა ქვეყანას მართლაც ღუპავენ. არ შეიძლება ქვეყანა ქვეყანას ეომებოდეს და ერთ-ერთი ქვეყნის ხელმძღვანელს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც ეომება, ბიზნესი ჰქონდეს. პოროშენკოს ღიად, გამჭირვალედ აქვს ბიზნესი რუსეთში — ტკბილეულის ქარხანა, რომელსაც რუსები შეგნებულად არ ჰკიდებენ ხელს. გარდა ამისა, უკრაინელებს ძალიან აწუხებთ ოლიგარქების ზეობა, რასაც სააკაშვილი გადასარევად იყენებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ უკრაინელებმა არ იციან სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მერე რა შავ დღეში ჩავარდებიან. ახლა, როგორც ჩანს, საერთოდ შემოირიგეს, ყველაფერი აპატიეს და საქართველოს სასამართლომ გამამართლებელი განაჩენიც გამოიტანა.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# ქართული პოლიტიკის დიდი ღამე და დილა, რომლის გათენებას ჯერ კიდევ ველოდებით

## საუბრების ციკლი ბატონ ირაკლი გოგავასთან, რომელიც „საერთო გაზეთის“ მკითხველს აქამდე უცნობ მრავალ სკანდალურ ინფორმაციას უმხელს

**ირაკლი გოგავა – დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სასწავლო კურსი გავლილი აქვს დიდ ბრიტანეთში, დაამთავრა ასპირანტურა, ევროკავშირის ჯორჯ სმიტის სახელობის პროგრამის რამდენიმე კურსი, ნატოს ჯორჯ მარშალის სახელობის კრიზისის მენეჯმენტის კურსი. სტაჟირებები გავლილი აქვს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, შვედეთის პარლამენტებში. 1999–2004 წლებში გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი, ერთ-ერთი დიდი ფრაქციის „ალიანსი — ახალი საქართველოს“ თავმჯდომარე. ფლობს უცხო ენებს (რუსული, გერმანული, ინგლისური, უკრაინული). ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.**



### ირაკლი გოგავა:

ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, რასაც მე სახელმწიფო გადატრიალებად ვაფასებ, ფაქტობრივად იძულებით პოლიტიკურ ემიგრაციაში გახლდით. მართალია, ჩემს მიმართ სს-ის საქმე არ აღუძრავთ, მაგრამ ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო, ვგულისხმობ პოლიტიკური პროცესების შეჩერებას, იძულებული გავხდი საქართველოდან წავსულიყავი. ვმუშაობდი უკრაინის პრეზიდენტ იუშჩენკოსთან კონსულტანტად, ვიმუშავე ერაყსა და იორდანიაში რეფორმების სფეროში, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ პროგრამის დირექტორად, ასევე სხვა რამდენიმე ამერიკულ ფირმასა და არასამთავრობო ორგანიზაციაშიც. 2011 წელს, შემოთავაზება მქონდა ამერიკული ფირმიდან, ბილეთები უკვე ნაყიდი მქონდა ვაშინგტონში გასამგზავრებლად, როცა გამოქვეყნდა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ცნობილი წერილი. მეტნაკლებად მაქვს პოლტიკური გამოცდილება, მივხვდი, რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება იცვლებოდა, ჩვენს ერს შანსი მიეცა დიქტატორი თავიდან მოეშორებინა. დაუყოვნებლივ ჩამოვედი საქართველოში ოჯახთან ერთად და გარკვეულწილად დავეხმარე „ქართულ ოცნებას“. ამერიკიდან ჩამოვიყვანე ობიექტური დამკვირვებლები, დაახლოებით 25 კაცი, რომლებიც ათი თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვადასხვა რეგიონში, აგროვებდნენ ობიექტურ ინფორმაციას და ანალიზს აგზავნიდნენ დაახლოებით 5.000 რესპოდენტთან, პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან მთელს მსოფლიოში. მათ გარდა, ჩემი მოწვევით ამერიკიდან ჩამოვიდა ეგზიტპოლების შემსრულებელი ფირმა, არჩევნების დროს მათ გამოაცხადეს „მაესტროს“ ტელეეთერით რეალური ინფორმაცია. გარდა ამისა 2012 წლის აგვისტოში სამი კვირა გავატარე ამერიკის კონგრესში, შევხვდი კონგრესმენებსა და სენატორებს, ათეულობით მკვლევარს, აპარატის ადმინისტარაციების უფროსებს, მათ შორის, კონგრესის სპიკერსა მისი აპარატის უფროსს და გავაცანი ის რეალობა, რაც საქართველოში იყო. ბევრმა მათგანმა გაკვირვებაც კი გამოხატა, რადგან არ ჰქონდათ ინფორმაცია საქართველოში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე, იმ დიქტატურაზე, რაც აქ მძვინვარებდა. ასე რომ, მეც შევიტანე გარკვეული წვლილი სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟში.

### „ვარდების რევოლუცია“ ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, ხოლო მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო მასშტაბის თაღლითი, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს თავის ჯგუფთან ერთად 18 მილიარდამდე ლარი „გამოიმუშავა“

– 2003 წლის ნოემბერში ნამდვილად მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, ამ პროცესებს სხვა შეფასებას ვერ მისცემ. დიდი ფული ჩაიდო სააკაშვილის გუნდში, რომლითაც მან დაიქირავა ხალხი და მოაწყო ის ვითომდა ხავერდოვანი რევოლუცია. სააკაშვილის მთელი საარჩევნო კამპანია ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ კუნთმაგარი ბიჭებისგან შექმნა 500-კაციანი ნახევრად შეიარაღებული ფორმირება, რომელთან ერთადაც დადიოდა რეგიონებში და ცემა-ტყეპას მართავდა. ეს ჟურნალისტებისთვის შესანიშნავი „საკვები“ იყო და სააკაშვილი ხდებოდა დღის ამბების მთავარი გმირი. ვერ ვიტყვი, რომ მან ამით რეიტინგი შეიქმნა, მაგრამ აშკარად შეიქმნა ფონი, რომ სააკაშვილია ყველაზე რადიკალურად დაპირისპირებული ხელისუფლებასთან და ის არის ასე ვთქვათ, მთავარი ოპოზიცია. რაც შეეხება სააკაშვილის გუნდის დაფინანსებას, არის მოსაზრება, რომ ისინი დასავლეთმა დააფინანსა. ეს არ არის მართალი თუნდაც იმიტომ, რომ დასავლეთის ქვეყნები, კონკრეტულად კი აშშ, პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკურ პროცესებს არ აფინანსებენ, ასე რომ, ეს არც ამერიკული ფული იყო და არც დასავლეთ ევროპული. ამ ფულის გარკვეული ნაწილი, შეიძლებოდა რუსული ან რუსეთში ნაშოვნი ყოფილიყო, იკვეთებოდა კავშირები იგორ გიორგაძესთან და რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებთან. ამ ყველაფრის შესახებ, გაცილებით მეტ ინფორმაციას ვფლობ, მაგრამ დღეს არ არის ყველა კარტის გახსნის დრო. მე ამერიკელებთან მქონდა ურთიერთობა, მოგეხსენებათ, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გახლდით და შემიძლია გითხრათ, რომ მათთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო ეს რევოლუციური სცენარი, პრინციპში მიუღებელიც, განსაკუთრებით რესპუბლიკური ფრთისთვის. ამერიკელები პირდაპირ მოითხოვდნენ მაშინდელი ოპოზიციისგან, კერძოდ, სააკაშვილისა და ჟვანიასგან, რომ შეეწყვიტათ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა, დალოდებოდნენ არჩევნებს, ანუ სამართლებრივ ჩარჩოებში წაეყვანათ პროცესი. რევოლუციის სპონსორისთვის ეს მიუღებელი იქნა, ამიტომ მან მკაფიო დავალება გასცა, რომ პროცესი ბოლომდე მიეყვანათ და სახელმწიფო გადატრიალებით დაესრულებინათ. არც ის არის სიმართლე, ჯორჯ სოროსი აფინანსებდა „რევოლუციონერებს“, მისი ფონდი უბრალოდ ფულის გამტარად იქნა გამოყენებული. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძესაც ბოლომდე ეგონა, რომ სოროსი აფინანსებდა მის წინააღმდეგ გამოსვლებსა და სახელმწიფო გადატრიალებას. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო მშვიდობიანი გადატრიალება, სააკაშვილის მომხრეების დაახლოებით 600-კაციანი შეიარაღებული რაზმი ჩასაფრებული იყო პარლამენტის გვერდით, ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ე.წ. სოციალ-დემოკრატების ოფისში. თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა, ეს რაზმი მზად იყო სროლა აეტეხა. გარდა ამისა, პარლამენტში შემოჭრილ ადამიანებსაც ჰქონდათ იარაღი, ამ პროცესების მონაწილე ვარ და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. 2003 წელს, საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, მეორეჯერ შეწყვიტა ევოლუციური განვითარების ფაზა, რაც დამღუპველია ნებისმიერი ქვეყნისთვის.

სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობა, რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ, პირველი, მან მოინდომა გარკვეული რეფორმების ჩატარება, ასე ვთქვათ, მოდერნიზაცია, ეს იყო მისი ჩანაფიქრი, რომლის შესრულებაც ფასადების ღებვით დაიწყო. პირველ ნაბიჯს, მეორე, სიღრმისეული პროცესი მოყვა, სააკაშვილმა სამართალდამცავი სტრუქტურებისგან სადამსჯელო ორგანიზაციების ქსელი ჩამოაყალიბა. მიზანი იყო ერთი — კორუფციით, შავი ბიზნესით ან თუნდაც კანონიერად ნაშოვნი ფული ამოღებულიყო მოსახლეობისგან. საქართველოსთვის ასტრონომიული თანხებია, რაც მათ ამოიღეს, თანაც ეს ხდებოდა ნახევრად ოფიციალურად, საპროცესო გარიგებების მეშვეობით. 2011 წლის ჩათვლით, ქვეყანაში აღძრული იყო 900.000-მდე სს-ის საქმე, რომელთა უმეტესობა საპროცესო გარიგებით დასრულდა. გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 1% თუ იქნებოდა, დანარჩენ შემთხვევებში დაკავებულები გაამტყუნეს და მათ აბსოლუტურ უმრავლესობასთან საპროცესო გარიგება გააფორმეს. მე 5.000 ლარზე ნაკლები საპროცესო თანხა არ გამიგია, ამ თანხასაც რაღაცა წვრილმანი დანაშაულისთვის ახდევინებდნენ, თორემ ეკონომიკური დანაშაულობებზე პირადად ვიცნობ ხალხს, ვისაც 12 და 16 მილიონი გადაახდევინეს, ორი და სამი მილიონი ვინც გადაიხადა, ასეთი ათასობით ადამიანია. საბოლოო ჯამში, მოცემული პერიოდისთვის დაახლოებით 18 მილიარდამდე ლარია ამოღებული მოსახლეობისგან. ეს ფული წავიდა ნაციონალების შექმნილ სამ თუ ოთხ ე.წ. საქველმოქმედო ორგანიზაციაში, ერთს სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი ერქვა, დანარჩენების სახელი არ მახსოვს. დღეს ეს ორგანიზაციები აღარ არსებობს, დაიშალა და მათი მთელი დოკუმენტაცია დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოება არ იცნობს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბიზნესმენებს (მეც ვიცნობ ასეთ ხალხს) პირდაპირ ოფშორულ ანგარიშებზე არიცხვინებდნენ ფულს, მათ „დირექტივებს“ აძლევდნენ რამდენი უნდა ჩაერიცხათ კონკრეტული ფონდის ანგარიშზე, რამდენი ნაწილი ოფშორულ ანგარიშზე და ა.შ. დღეს გვიკვირს ეკონომიკა ვერ ვითარდებაო, მოსახლეობისგან ამხელა ფულს რომ ამოიღებ, ეკონომიკა როგორ განვითარდება, იმ თანხის ნაწილი ხომ ისევ რეინვესტირებას უნდა მოხმარებოდა. ინვესტიცია მილიონერმა და ბიზნესმენმა უნდა განახორციელოს, ეს ხალხი კი პირწმინდად გაძარცვა სააკაშვილმა და ნულზე დასვა. ქვეყანაში არსებული კრიზისი, რომელიც ვერა და ვერ იქნა გადაწყვეტილი, იმ პერიოდიდან მომდინარეობს, ჩვენ ფული არ გვაქვს, უცხოური ფული კი ძალზე ძვირია. ნაციონალები თავს რომ იწონებენ, კორუფცია მოვსპეთო, კორუფციის აღმოფხვრა კი არა, მისი ერთ ხელში კონსოლიდაცია მოხდა. ყველა მსხვილ იმპორტიორს „სტავკა“ ჰქონდა დაწესებული, ზოგს 10%-ს სთხოვდნენ, ზოგს 20%-ს. ჩემს ნაცნობ უკრაინელ ბიზნესმენს ხორბლის შემოტანა უნდოდა, ერთ-ერთ მინისტრთან გადაამისამართეს, რომელმაც მას 20%-ის დატოვება მოსთხოვა. ამ დროს ხორბლის მარჟა 7–8, მაქსიმუმ 10%-ია, ბუნებრივია, არ შედგა ეს გარიგება, მაგრამ ეს ფაქტიც ხომ მეტყველებს, სააკაშვილის მინისტრები რა პირობებს უყენებდნენ ბიზნესმენებს, მათ შორის უცხოელებს.



## როგორ გადააგდო მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმერ პუტინი



– აჭარის თემასთან დაკავშირებით, შეთანხმება შედგა ვლადიმერ პუტინსა და სააკაშვილს შორის, რომ სააკაშვილი შევიდოდა აჭარაში, ხოლო პუტინი რუსეთში წაიყვანდა ასლან აბაშიძეს, ანუ განმეორდებოდა 2003 წლის ნოემბრის სცენარი. პუტინმა შეასრულა თავისი სიტყვა, სააკაშვილმა კი არა. აჭარის სანაცვლოდ, კრემლმა მას პირობა წაუყენა, რომ გააგრძელებდა შევარდნაძის მმართველობის დროინდელ პროექტს, რომლის მიხედვითაც ბათუმში უნდა შექმნილიყო სამმხრივი (საქართველო-რუსეთი-ამერიკა) ანტიტერორისტული ცენტრი და დამუხრუჭდებოდა ქართული მხრიდან ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა. სააკაშვილი ამ პირობას დათანხმდა, თუმცა 2005 წელს ყველაფერი შეიცვალა, რა მოტივაციით შეცვალა სააკაშვილმა გადაწყვეტილება არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მან პუტინი „გადააგდო“. რა თქმა უნდა პუტინის რეაქციამ არ დააყოვნა, რის გამოც უბრალო ხალხი დაზარალდა, რადგან სავიზო რეჟიმი დაუწესდათ და გამოადეპორტეს ის ათი ათასობით ქართველი, რომელიც ლუკმაპურს რუსეთში შოულობდა. გახსოვთ ალბათ, როგორ დააკავეს ეს ხალხი და საბარგო თვითმფრინავებით გამოუშვეს საქართველოში, ბევრი მათგანი დაიღუპა იზოლატორებსა თუ თვითმფრინავის ბორტზე. მაშინ ქართულმა ავიაკომპანიებმა ივაჟკაცეს, სამგზავრო თვითმფრინავები გაგზავნეს რუსეთში და ისე ჩამოიყვანეს ეს გაუბედურებული ადამიანები. ერთი სიტყვით, ხალხის ზურგზე გადაიარა პუტინისა და სააკაშვილის დაპირისპირებამ. ამის შემდეგ უკვე გარდაუვალი იყო ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი. პოლიტიკოსები პუტინის შეფასებისას ამბობენ, რომ ის სიტყვის კაცია, მოცემულ სიტყვას ასრულებს და მეორე მხარისგანაც ითხოვს შესრულებას. მე პუტინის იდეალიზებას არ ვაპირებ, მაგრამ პოლიტიკაში მისი მიდგომა ასეთი ყოფილა. 2007 წლის შემოდგომაზე იწყება ბადრი პატარკაციშვილის მიერ მხარდაჭერილი საპროტესტო გამოსვლები, რაც სამწუხაროდ ჩავარდა. სააკაშვილი შერჩა ხელისუფლებას, თუმცა ეს ყველაფერი მისთვის სიგნალი იყო, რომ მისი უალტერნატივობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სააკაშვილმა დაიწყო ისეთი სცენარის ძებნა, რომლითაც უსასრულოდ თუ არა, მაქსიმალურად გაიხანგრძლივებდა ხელისუფლებაში ყოფნას. მან ასეთ სცენარად წარმატებული ომი ჩათვალა, რომელიც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდს დაამთხვიეს. სააკაშვილი უმეგობრდება სენატორ მაკეინსა და მის ჯგუფს, მაკეინი გახლავთ ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ლობისტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. ამ კომპლექსის უმეტესი წილი კერძო სექტორს ეკუთვნის, ეს არის გიგანტური საწარმოები, რომლებიც უშვებენ თვითმფრინავებს, ძრავებს, ჯავშანტექნიკას და ა.შ. ამ უზარმაზარ ინდუსტრიას ათეულობით ლობისტი ჰყავს კონგრესსა და სენატში, რომლებიც სხვადასხვა საკითხს ლობირებენ. ეს ჯგუფი დიდ ფულს შოულობს იარაღზე, ნებისმიერ შეკვეთაში 20–30%-იანი მოგება აქვთ. მათთვის მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არასტაბილური მდგომარეობა იყოს, რაც მათთვის დამატებითი შეკვეთა იქნება. ამ ჯგუფისთვის სააკაშვილი საინტერესო აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც საქართველო განლაგებულია საკმაოდ ფეთქებადსაშიშ რეგიონში, გარშემო სულ კონფლიქტებია, ჩრდილოეთ კავკასია პოტენციური კონფლიქტის კერაა, აქეთ ყარაბაღია, ახლო აღმოსავლეთში ქურთების საკითხი და ა.შ. ამ ჯგუფმა დაინახა, რომ საქართველოს სახით შეიძლება მსხვილი შეკვეთა მიიღონ, მაგრამ მათ სამიზნეს არა საქართველოს ბიუჯეტი, არამედ ამერიკის ფედერალური ბიუჯეტი წარმოადგენს. ამ უკანასკნელიდან ფულის კეთების კლასიკური მაგალითია აშშ-ის სამხედრო კამპანია ერაყში, რომელზეც ოთხი ტრილიონი დოლარი დაიხარჯა. ჩათვალეთ, რომ ამ ასტრონომიული თანხის 20–25% მათ ჩაიდეს ჯიბეში. ამ ჯგუფს აკონტროლებს ბუშების ოჯახი, დიკ ჩეინი, ლუგართან დაახლოებული ფირმები და ამ ფირმებმა დაახლოებით ტრილიონი დოლარი მოგება ნახეს ერაყის კამპანიაზე. ეს კამპანია უკვე დამთავრდა, ე.ი. რაღაც ახალი აქვთ მოსაფიქრებელი, უნდა შეიქმნას ახალი პატარ-პატარა კონფლიქტები. მაკეინის ჯგუფი ძაბავს სიტუაციას, მერე პოლიტიკურ დღის წესრიგში აყენებს საკითხს, რომ დავუშვათ, საქართველოს დავეხმაროთ, გამოვუყოთ კონკრეტული შეიარაღება, იქით უკრაინას, კამბოჯას ან ნებისმიერ ქვეყანას, შემდეგ გააქვთ ეს საკითხი კონგრესზე და ღებულობენ. ამერიკაში პრობლემა ისაა, რომ ქვეყნის ბიუჯეტს კონგრესი ამტკიცებს, შესწორებებიც მას შეაქვს და არა პრეზიდენტს. პრეზიდენტს მხოლოდ ვეტოს დადება შეუძლია, მაგრამ როგორც წესი, პრეზიდენტებს უჭირთ კონგრესთან გამკლავება, ასე გამოიყოფა ხოლმე ასეულობით მილიონი დოლარი. პენტაგონის ბიუჯეტი 600 მილიარდი დოლარია, მომავალ წელს დაახლოებით 700 მილიარდი იქნება, აქედან დაახლოებით 1/3 სამხედრო შეკვეთებია, საიდანაც მოგება დარჩებათ ხსენებულ ბატონებს.



2008 წელს, სამხედრო ავანტიურა ჩავარდა, ანუ ვერ „პრავდება“ სამხედრო ხარჯები საქართველოს მიმართულებით და სააკაშვილი ახლა უკრაინაში გადაისროლეს. 2008 წელს ამ ჯგუფს ფულის შოვნის გარდა, სხვა ამოცანაც ჰქონდა, აგვისტოს ომს უნდა მოეხდინა მაკეინის მომხრეების მობილიზაცია და უზრუნველეყო მისი გამარჯვება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც ნოემბრის თვეში ტარდება. ომის დაწყებამდე, ობამა მაკეინს 10%-ით უსწრებდა, როგორც კი ომი დაიწყო, ეს სხვაობა 3%-მდე შემცირდა, ეს აშშ-ში ცდომილების ზღვარია, შეიძლება 3%-ით იგებდე, მაგრამ არჩევნების დღეს წააგო. დემოკრატიული პარტიისა და მისი მომხრეებისთვის ეს იყო შოკი, მილიარდობით დოლარი დახარჯეს საარჩევნო კამპანიაზე და ამ დროს ვიღაც სააკაშვილის გამო, არჩევნები შეიძლება წაეგოთ. ამ ორ კანდიდატს შორის განსხვავება ძირითადად ის იყო, რომ მაკეინი წინასაარჩევნოდ ანტირუსული ლოზუნგებით გამოდიოდა, ხოლო ობამას უფრო ხავერდოვანი, რბილი პოზიცია ჰქონდა რუსეთის მიმართ. ამიტომაც იქონია ამ ყველაფერმა გავლენა მათ რეიტინგებზე. სააკაშვილის მიერ რეზერვის შექმნა, სადაც 100.000 ქართველი გაატარეს, მისი ამერიკელი „მეგობრების“ გეგმის ნაწილი იყო. რეზერვი იმისთვის მოიგონეს, რომ ქართველ ერს პარტიზანული ომი ეწარმოებინა, რუსეთი რომ აუცილებლად ჩაერთვებოდა შეიარაღებულ კონფლიქტში, ეს ხსენებული გეგმის „შემოქმედმა“ კარგად იცოდა. მოკლედ, ბუჩქებში უნდა ჩავმჯდარიყავით და რუსებისთვის გვესროლა, ეს პროცესი 1–2 თვე უნდა გაწელილიყო, სამი თვე იდეალური შემთხვევა იქნებოდა. ამ ფონზე უნდა გამხდარიყო მაკეინი ამერიკის პრეზიდენტი, თუმცა ჩვენმა „მთავარსარდალმა“ გორის ქუჩებში იფორთხიალა, თავიც შეირცხვინა, ერიც შეარცხვინა და „პატრონებიც“ იმედგაცრუებული დატოვა. ამ პროექტის ჩავარდნის შემდეგ, მაკეინის ჯგუფის ინტერესი შენელდა საქართველოს მიმართ, სააკაშვილმა დაკარგა ნდობა და სიმპათიები საერთაშორისო ასპარეზზე. ის გახდა უპასუხისმგებლო პოლიტიკოსი, რომელთან შეხვედრასაც ყველა ერიდებოდა, ბარაქ ობამა მას ერთადერთხელ შეხვდა და მაშინაც ფაქტობრივად უთხრა, ხელისუფლებიდან უნდა წახვიდეო.

## პოროშენკო და სააკაშვილი შეთანხმებულები არიან

– 2014 წლის „მაიდნის“ სახელით მონათლულ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ფაქტობრივად განახევრდა ქვეყნის ეკონომიკა, სამჯერ მოხდა ეროვნული ვალუტის გაუფასურება და შესაბამისად მოსახლეობა გაღარიბდა. უკრაინა ფაქტობრივად ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფის წინაშეა. უკრაინაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, ქვეყნის რეალურად დაშლა გამოიწვია, რაც ვფიქრობ სპეციალურად იყო ჩადებული. როგორც გითხარით, პრესიდენტ იუშჩენკოს კონსულტანტი ვიყავი, 2004 წელსაც იყო ასეთი ნაციონალური მოწოდებები, მაგრამ იუშჩენკომ შეძლო მოეთოკა ნაციონალისტურად განწყობილი საზოგადოება, ჟურნალისტები და დონბასის პრორუსულ მოსახლეობას გარანტიები მისცა, რომ რუსულ ენას, მათ ყოფას და პოლიტიკურ ორიენტაციას საფრთხე არ ემუქრებოდა. 2014 წელს სპეციალურად მოხდა ენის საკითხზე ტორპედირება, რუსული ენა ავკრძალოთო, არადა უკრაინის მოსახლეობის მინიმუმ 45%-სთვის რუსული მშობლიური, პრინციპში ერთადერთი ენაა. რუსულ ენაზე შეტევა სპეციალურად გაკეთდა, რომ კონფლიქტის პროვოცირება მომხდარიყო. რაც შეეხება ტერიტორიების დაკარგვას, რუსეთს დონბასი დიდად არ აინტერესებს, ყირიმია მისი ინტერესის სფერო, რადგან სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი ტერიტორიაა. სევასტოპოლში არსებული სამხედრო ბაზას, რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და თეორიულადაც კი არ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ რუსეთი სევასტოპოლს დათმობდა. აქედან კონტროლდება შავი ზღვის მთელი აკვატორია, კონფლიქტის შემთხვევაში, სევასტოპოლს ვინც ფლობს, ის ფლობს დიდ აკვატორიაში უპირატესობას. ისე, დონბასის ბედი არც პოროშენკოს აღელვებს, მისთვის დონბასის კონფლიქტი ძალაუფლების შენარჩუნების გზაა.

პოროშენკოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რაღაც რეჟიმში კონფლიქტის ქონა. ამ კონფლიქტის გამო, უკრაინაში ცენზურის სამინისტროა შექმნილი რეალურად, ნებისმიერი მასალა ყველა დონის მასმედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიებში ცონტროლს გადის. ახლახანს ერთ-ერთმა უკრაინელმა ჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამომართვა, სადაც ვისაუბრე სააკაშვილზე, უკრაინაში მის ფუნქციაზე. რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა ამ ჟურნალისტმა და პირდაპირ მითხრა, თქვენმა ინტერვიუმ ცენზურა ვერ გაიარა, ამიტომ ვერ დაიბეჭდება და ბოდიშს გიხდითო. ერთი სიტყვით, უკრაინაში ტოტალური ცენზურაა, სააკაშვილს ხომ ვითომ კონფლიქტი აქვს პოროშენკოსთან, მაგრამ მასზე ცუდის თქმა აკრძალულია. ის ტელევიზია, რომელშიც სააკაშვილმა გადაცემა გააკეთა, პოროშენკოს მეგობარს ეკუთვნის. პოროშენკო და სააკაშვილი შეთანხმებულები არიან, მიშას ოპოზიციონერის როლის თამაში დაევალა, რომლის მიზანიც იულია ტიმოშენკოსთვის ხმების წართმევაა, რადგან ეს ქალბატონი რეიტინგით პირველ ადგილზეა. პოროშენკოსთვის მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი ხმა წაართვას, სააკაშვილს 3–4%-ის წართმევა აქვს დავალებული. მომავალ პარლამენტში სააკაშვილის გუნდმა პოროშენკოს უნდა დაუჭიროს მხარი, რადგან დღეს ისეთი ვითარებაა, არჩევნები რომ ჩატარდეს, მმართველი პარტია უმრავლესობას ვერ იღებს, დაახლოებით 7–8 პარტია შეიძლება შევიდეს პარლამენტში. სააკაშვილის ეს შოუები, პასპორტის წართმევა და ა.შ. ერთ მიზანს ემსახურება. სააკაშვილმა ვერ „გაქაჩა“, თავისი ერთთვიანი ოპოზიციური საქმიანობით ვერ მოიპოვა საჭირო რეიტინგი. მისი ჩავარდნილი რეიტინგის ამოსაქაჩად მოიგონეს ეს სპექტაკლი, საზღვრის შტურმი, გარღვევა. ასეთი მეთოდებით შეეცდებიან 2019 წლის არჩევნებისთვის სააკაშვილის რეიტინგის მეტნაკლებად აწევას. მისი მთლად მაღალი რეიტინგი პოროშენკოსაც არ აწყობს, რადგან იცის, რომ სააკაშვილს ყველა მისი მოკავშირე „გადაგდებული“ ყავს, დაწყებული ედუარდ შევარდნაძით და დამთავრებული რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინით.

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

# თბილისის მერის არჩევნებია თუ „პრარაბების“ კონკურსი?

თბილისის მერობის კანდიდატების საარჩევნო გამოსვლებს რომ უსმენ, შეიძლება იფიქრო, რომ ეს თბილისი საქართველოში კი არა, სადღაც ცალკე მატერიკზე არსებობს, რომლის აშენება-დამშვენებას ისე აპირებენ ეს პატივცემული კანდიდატები, ერთ სიტყვასაც კი არ დაძრავენ ზოგადად ქართულ სახელმწიფოში არსებულ იმ პრობლემებზე, რომლებზეც პირდაპირ არის მიბმული თბილისის კეთილდღეობის და მისი განვითარების საკითხები.

მე არ ვიცი, ვინ არიან ის ადამიანები, ე.წ. პიარჯგუფები, რომლებიც თავიანთ ფავორიტებს საარჩევნო კამპანიის მომზადებაში ეხმარებიან, თუმცა, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, ერთი რამ ცხადია — ამ პიარჯგუფებს წარმოდგენა არა აქვთ იმ უმთავრეს მიზეზებზე, საიდანაც იღებს სათავეს ქალაქში დაგროვილი უამრავი და უმწვავესი პრობლემა.

ამ წინასაარჩევნო პროგრამებში, რომლებიც თავიანთი არაკვალიფიციურობით, პრიმიტიულობით, პროვინციული ბაქიბუქით, ზერელობით თუ ზედაპირულობით,



იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, რომ ერთი „შპარგალკიდან“ გადაწერილი გეგონებათ, არ ჩანს უმთავრესი რამ — შეგნება და გასიგრძეგანება იმისა, თუ რას ნიშნავს იყო თბილისის მერი.

ამ პროგრამების მიხედვით, თბილისის მერი არის კარგი „პრარაბი“, ანუ ადამიანი, რომელსაც გაჰყავს გზები, რგავს მწვანე ნარგავებს, აწესრიგებს ქალაქის ინფრასტრუქტურას და ა. შ.

თბილისის მერობის კანდიადტები მოსახლეობას თავგამოდებით უმტკიცებენ, რომ სხვებზე უკეთესი „პრარაბები“ იქნებიან.

**რაც ახლა ხდება, ეს არ არის საარჩევნო კამპანია თბილისის მერობისთვის — ეს არის კონკურსი საუკეთესო „პრარაბის“ გამოსავლენად.**

არადა, თბილისის მერი „პრარაბი“ კი არა, პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი ირჩევს და რომელსაც უზარმაზარი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ახალი ხედვების, ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებაში.

ორიოდე გამონაკლისის გარდა, თბილისის მერობის არც ერთ კანდიდატს ამ მიმართულებით არაფერი უთქვამთ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მათ ამ კუთხით არც არაფერი უფიქრიათ, რაც თავის მხრივ, იმის დასტური გახლავთ, რომ მათ სწორად არ აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქცია, თავიანთი უპირველესი ამოცანა და დანიშნულება.

თბილისი ვერ იქნება სიცოცხლით სავსე ქალაქი, თუ საქართველო არ გახდება სიცოცხლით სავსე, ძლიერი და მდიდარი ქვეყანა.

**თბილისი ვერ იქნება ლიდერთა შორის ლიდერი ქალაქი, თუ საქართველო არ იქნება ლიდერთა შორის ლიდერი სახელმწიფო.**

ეს მარტივი ჭეშმარიტება, რომელიც ასე რთულად და ძნელად მისახვედრი აღმოჩნდა ჩვენი მერობის კანდიდატებისთვის, ნათლად აჩვენებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პროექტებს საყრდენი და საძირკველი არ აქვს და უმრავლესობა იმ დაპირებებისა, რომლებსაც ისინი იძლევიან, მხოლოდ სიტყვების კაკაფონიაა და მეტი არაფერი.

ქართული ეკონომიკა, სადღეისო მდგომარეობით, ფაქტობრივად,. უცხო ქვეყნების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თურქეთის ეკონომიკის გაგრძელებაა, მისი ერთგვარი დანამატი და „ფილიალია“.

ეს რომ ასეა, კარგად ჩანს თუნდაც თბილისის მაგალითზე, რომელიც დიდი ხანია თურქული პროდუქციის გასასაღებელ ბაზრად იქცა.

შეიხედეთ ე.წ. საკოლმეურნეო ბაზრებსა და სუპერმარკეტებში, შეიარეთ ბაზრობებსა თუ ტანსაცმლის მაღაზიებში, დაწყებული ბოსტნეულით და დამთავრებული თეთრეულით, თითქმის ყველაფერი თურქულია.



ეს იმ დროს, როცა ქართველ გლეხს მის კარმიდამოში მოყვანილი კიტრი და პამიდორი, ვაშლი თუ ატამი, ნიორი და ხახვი ვერ გაუყიდია.

ამ გლეხისთვის, ცხადია, საერთაშორისო ბაზრები მიუწვდომელია, მაგრამ არა მარტო საერთაშორისო ბაზრები, არამედ საკუთარი ქვეყნის ბაზარიც კარგა ხანია დაკეტილია მისთვის — როგორც ვთქვით, ქართული ბაზარი უცხოურ პროდუქციას აქვს დაპყრობილი.

ბოლოს, როცა გლეხი რწმუნდება, რომ მის შრომას და ჯაფას აზრი არა აქვს, ის ტოვებს სოფელს და ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქში, ანუ თბილისში ჩამოდის.

**თბილისი დღეს სოფლებიდან გამოქცეული გლეხების ქალაქია.**

მე არ ვიცი, არსებობს თუ არა ზუსტი სტატისტიკა, თბილისის მოსახლეობის რამდენ პროცენტს შეადგენენ ე.წ. „ჩამოსულები“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან დიდი ციფრია.

ოფიციალური მონაცემებით, თბილისში მილიონ ას ცხრა ათასი ადამიანი ცხოვრობს.

კოლოსალური ციფრია იმ ქვეყნისთვის, რომლის მთლიანი მოსახლეობა სულ რაღაც 3 700 000 ადამიანს შეადგენს, თუმცა თუ იმათაც დავამატებთ, რომლებიც თბილისში კი ცხოვრობენ, მაგრამ არსად არ არიან დარეგისტრირებულნი, როგორც თბილისის მოქალაქეები, ეს ციფრი, ალბათ, მილიონნახევარს, მილიონ ექვასასი ათასს მიაღწევს.

გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი თბილისში ცხოვრობს, თუმცა ცხოვრება არ ჰქვია იმას, რა პირობებშიც ამ ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს უწევს ყოფნა — ამას უფრო არსებობა ჰქვია.

აი, ასეთია თანამედროვე თბილისი — სიცოცხლით კი არა უიმედობით, სასოწარკვეთით, ცრემლით და ტკივილით სავსე ქალაქი და როცა ამ ქალაქის მერობას აპირებ, პირველ რიგში, იმაზე უნდა ფიქრობდე და იმაზე უნდა ლაპარაკობდე, რით შეიძლება უშველო ადამიანებს, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ და რით შეიძლება უშველო იმ ქვეყანას, რომლის დედაქალაქიც ეს ქალაქია.

ამ ქალაქის ბედი მთლიანად არის მიბმული ქვეყნის ბედზე, ისე, როგორც ამ ქვეყნის ბედია მიბმული ამ ქალაქზე და თუ ეს საბედისწერო კავშირი, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე რომ გადის, ვერ დაინახე და პრობლემათა მთელი ეს უწყვეტი ჯაჭვი ურთიერთკავშირში, ერთობლიობაში თუ არ გააანალიზე, არც ამ ქვეყანას დაადგება საშველი და არც ამ ქალაქს.



მრავალ ქვეყანაში არსებობს ამა თუ იმ ქვეყნის ქალაქების ასოციაცია, რომლის ცენტრალური ოფისი, როგორც წესი, დედაქალაქშია განთავსებული, ხოლო ასოციაციის მმართველ ორგანოს დედაქალაქის მერი ხელმძღვანელობს.

ასოციაციის მთავარი ფუნქციაა კოორდინაცია სხვადასხვა ქალაქების ხელმძღვანელობებს შორის და ამა თუ იმ პრობლემის ერთობლივად, კოორდინირებულად გადაწყვეტა.

თბილისის მერობის არც ერთ კანდიდატს, რა თქმა უნდა. ამ თემისთვის საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბევრმა მათგანმა, ალბათ, არც იცის, რომ ასეთი ასოციაციები არსებობს.

არადა, რა შესანიშნავი იქნებოდა, რომ შექმნილიყო ორგანიზაცია სახელწოდებით „საქართველოს ქალაქების ასოციაცია“, რომლის სათაო ოფისი თბილისში განთავსდებოდა, ასოციაციის თავკაცად კი თბილისის მერი მოგვევლინებოდა.

ასეთი ასოციაციის არსებობა თუნდაც ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას უდავოდ შეუწყობდა ხელს.

მხედველობაში გვაქვს თბილისის მომარაგება ადგილობრივი, ქართული წარმოების საკვები პროდუქტებით.

თუ სწორად იქნება დაგეგმილი და ორგანიზებული პროცესი, საქართველოს რეგიონებს აქვთ პოტენციალი, სრულად მოამარაგონ თბილისი ბოსტნეულით, ხილით, რძის ნაწარმით, კარტოფილით, ხორცით, თაფლით და ა. შ.

ქართველ გლეხს შრომა კი არ ეზარება და იმიტომ კი არ გამორბის სოფლიდან, არამედ მას არ აქვს გარანტია, რომ მის მიერ მოწეულ მოსავალს უდანაკარგოდ გაყიდის.

თბილისის მერიას თავისუფლად შეუძლია შექმნას ეს გარანტიები და ბოლომდე აითვისოს ქართულ სოფლებში, ქართულ მიწაზე მოწეული ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი პროდუქცია.



აქ არ შევუდგები იმის დაწვრილებით აღწერას, როგორ და რანაირად შეიძლება ამის გაკეთება, ვიტყვი მხოლოდ ერთს — თბილისი მერიას შეუძლია ხელი შეუწყოს სუპერმარკეტების ისეთი ქსელის შექმნას, სადაც მხოლოდ ქართული პროდუქცია გაიყიდება.

მერწმუნეთ, ამ ობიექტებს მომხმარებელი არ მოაკლდება...

იყო დრო, როცა გლეხს არ სჭირდებოდა ბაზარში სირბილი და დროის კარგვა — თავისი მოსავლის გასაყიდად მას შინ აკითხავდა ე.წ. დამამზადებელი და სათანადო ანაზღაურების შემდეგ პროდუქცია თავისი ტრანსპორტით მიჰქონდა.

ეს სისტემა მოიშალა, გაწყდა კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის,, გაწყდა კავშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, ხოლო ამ გაწყვეტილ კავშირში ახალი სუბიექტი ჩაჯდა — იმპორტიოორი, რომელიც გლეხს ჩაენაცვლა და სოფელი, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დატოვა.

— საერთოდ, რაში გვჭირდება სოფელიო, — განაცხადა ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნიდან სპეციალურად მოვლინებულმა ერთმა „დიდმა“ ეკონომისტმა.

შედეგად მივიღეთ ის, რომ სოფელი ქალაქში გადმოსახლდა, ხოლო გლეხს, როგორც ვღქვით, იმპორტიორი ჩაენაცვლა, რომელმაც საქართველო უცხოეთიდან შემოზიდული უვარგისი საქონლის ნაგავსაყრელად აქცია.

თუ ვინმე ამუხრუჭებს დღეს ქართული ეკონომიკის განვითარებას, სწორედ ეს იმპორტიორი და, მასთან ერთად მისი მფარველები სახელისუფლო სტრუქტურების სხვადასხვა შტოებიდან.

ეს მაფიური ქსელია, რომელიც წალეკვით და განადგურებით ემუქრება ქართულ სახელმწიფოს.

უკანასკნელი ციხესიმაგრე, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს ეს წამლეკავი ძალა, თბილისია, ოღონდ ამ ციხესიმაგრეს ერთგული და თავდადებული მეციხოვნეები უნდა ჰყავდეს.

თუ ზემოთ ნახსენები ეს პროექტი განხორციელდება, იცით, რამდენი ადამიანი დაუბრუნდება თავის კარმიდამოს, რომელიც დღეს უპატრონოდ არის მიტოვებული და ადრე თუ გვიან ან არაბის, ან ჩინელის, ან ინდოელის ხელში აღმოჩნდება?!

თუ ეს პროექტი განხორციელდება, იცით, როგორ განიტვირთება ქალაქი ავტომანქანების უწყვეტი ნაკადისგან?

ამ ავტომანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ სოფლებიდან და რაიონებიდან თბილისში სატაქსაოდ ჩამოსული გლეხკაცების კუთვნილებაა, რომლებმაც სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს. „კვალიფიკაცია“ შეიცვალეს და ტაქსისტობა დაიწყეს, თითქოს ეს რთული და მძიმე პროფესია ყველაზე იოლი და ადვილი ასათვისებელი ყოფილიყო.



საცოდაობაა, მათ „მუშაობას“ რომ უყურებ — ზოგიერთმა ოპერის თეატრი არ იცის, სად არის, არ იცის, სად არის ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, არ იცის წერეთლის პროსპექტი, მთავრობის კანცელარიამდე მიყვანას სთხოვ და ორთაჭალაში გაგაქანებს, სოლოლაკი გლდანში ჰგონია, თემქა — ვარკეთილში.

გულისმომკვლელია ამ წესიერი, პატიოსანი ადამიანების წვალებას და ჯახირს რომ ხედავ...

დაბოლოს, თუ ეს პროექტი განხორციელდება, მაშინ სულ სხვა დატვირთვას და მნიშვნელობას შეიძენს მთავრობის მიერ შემოთავაზებული ის შესანიშნავი პროექტები, რომლებიც ქართული სოფლის აღორძინებას და განვითარებას ისახავს მიზნად...

„თბილისის მერი სხვა რაკურსით“ — ასეც შეიძლებოდა ეს წერილი დაგვესათაურებინა.

სხვა რაკურსით, სხვა კუთხით, სხვა ფუნქციით და სხვა მნიშვნელობით თბილისის მერის, როგორც სახელმწიფოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურის წარმოჩენა, ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, თბილისის მერობის კანდიდატებისთვის უნდა იყოს საინტერესო, რომ მათ საკუთარ ფუნქციას და დანიშნულებას ცოტა სხვაგვარად და სხვანაირად შეხედონ და იმ ტრაფარეტისა და ჩარჩოებისგან გათავისუფლდნენ, რომლებიც მათ საბჭოთა პერიოდის აღმასკომის თავმჯდომარეებს ამსგავსებს.

ინოვაციური ხედვები, რევოლუციური, თამამი და გაბედული ინიციატივები და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი აზროვნება — აი, ის უმთავრესი თვისებები, რაც თბილისის ახალ მერს უნდა ჰქონდეს.

ამ თვისებებიდან არც ერთი, მათ შორის, არც სახელმწიფოებრივი აზროვნება, არც უნივერსიტეტებში ისწავლება, არც სპეციალურ სემინარებსა და ტრენინგებზე, ისე, როგორც არსად არ ისწავლება „საგანი“, სახელად სამშობლოს სიყვარული.

ზემოთჩამოთვლილი თვისებები და, მათ შორის, სამშობლოს სიყვარულიც ღვთისგან ნაბოძები თანდაყოლილი ნიჭია.

აი, ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი მინდა თბილისის მერად!

ასეთი ადამიანი ბევრ საკითხს სულ სხვა კუთხით შეხედავს და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს არაორდინარულ, არასტერეოტიპულ გადაწყვეტას მოუძებნის.

●

თბილისის მერი პირდაპირი გზით არჩეული ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ზურგს ამომრჩეველთა მილიონიანი ლაშქარი უმაგრებს.

მას უკეთესობისკენ შეუძლია შეცვალოს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ქვეყნის ბედი, იყოს ახალი იდეების, ახალი ინიციატივების, ახალი კონცეფციების წარრმართველი ძალა, ან იყოს კეთილსინდისიერი „პრარაბი“, რომელიც დააგებს გზებს, გამოცვლის კანალიზაციის მილებს, ააშენებს ახალ სახლებს, თავის დროზე დაასუფთავებს და გამოგვის ქალაქს, მაგრამ ამით ამ ქალაქში და არც ამ ქვეყანაში თვისობრივად არაფერი შეიცვლება.

**ვახტანგ ხარჩილავა**
593 44 04 01



ვახტანგ ხარჩილავა

## ...და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან

თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი.

მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილევნი,
დავრდომილები მიმოდიან ირგვლივ ქვითინით —
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები,
ჩვენ გაგვექცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი.

ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები,
დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით,
გაგვექცევიან ტყეები და მდინარეები,
გაგვექცევიან ახოები, ზვრები, ყანები.

გაგვექცევიან მეზვრენი და მევენახენი,
გაგვექცევიან მეგუთნენი, დურგალ-ხარატნი
და რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით,
თავს დაგვემხობა შინაური მტრების ღალატით.

თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
თუ არ მოვიდა გმირი — ერი ვისაც ელოდა,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან.

2005 წ. (ქვეყნდება პირველად)

## მამისა ჯაფარაშვილი:

# თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში მხოლოდ ბანკირები, მევახშეები და უცხოელები დარჩებიან

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო წლების ანგარიშების მიხედვით, საქართველოს 1000 მოქალაქედან 676 მოქალაქეს ბანკის ვალი აქვს. საბანკო დავალიანების მქონე მოსახლეობის რაოდენობით, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში საპატიო, მეორე ადგილი უკავია. იგივე სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ საქართველოში ყოველ მესამე სესხის ამღები ფიზიკური პირი შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალის მომსახურებაში იხდიდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარ-ივნისში კომერციული ბანკების მოგებამ 448 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 157 მლნ. ლარით მეტია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, კომერციული ბანკების მოგების 73% მოსახლეობიდან ჯარიმისა და საკომისიოებიდან მიღებული შემოსავალი გახლავთ. ამ და სხვა თემებზე კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი გვესაუბრა:**






— მოგეხსენებათ, ჩვენი ორგანიზაცია საბანკო-სამევახშეო სისტემით დაზარალებულთა ინტერესებს იცავს. ჩვენს კოალიციაში ინახება დაზარალებული მოქალაქეების ასიათასობით საქმე, ამიტომ ზუსტი მონაცემები მაქვს ამ მიმართულებით არსებული უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შესახებ. მადლობა ღმერთს, რომ თავად მოსახლეობაში დაიწყო „გამოღვიძების პროცესი“ და ისეთ უპრეცენდენტო შემთხვევებს ვხვდებით, როგორზეც ადრე ვერ ვიოცნებებდით.

**— კონკრეტულად, რომელი გამოღვიძების პროცესს და უპრეცენდენტო შემთხვევებს გულისხმობთ?**

— ჩვენი კოალიცია მევახშესა და მსესხებელს შორის მომრიგებლის ფუნქციას ასრულებს, თუმცა, აქამდე არ მახსოვს, რომ მევახშეს, რომელსაც ასობით ოჯახი ჰყავს ბინიდან გამოსახლებული, მსესხებლისთვის წართმეული ბინა სრულიად უფასოდ, უკან დაებრუნებინოს. ამ ადამიანის ვინაობას ვერ დავასახელებ, თუმცა გეტყვით, რომ ჩემთან საუბარში აღიარა, ვხვდები, რომ არასწორად ვიცხოვრე და როცა საქმე ქვეყნის ბედს ეხება, სხვა გადაწყვეტილება უნდა მივიღოო. ეს გადაწყვეტილება კი მსესხებლისთვის 20 000 დოლარიანი სესხის სანაცვლოდ წაღებული და გადაფორმებული 45 000 დოლარის ღირებულების სახლის უფასოდ დაბრუნება იყო. ამის გარდა, რამდენიმე შემთხვევა მაქვს, რომ იპოთეკრმა პროცენტის აღებაზე უარი თქვა: „ამ საცოდავობას ვერ ვუყურებ. არ მინდა არაფერი, 100–100 ლარობით მომცენ „ძირი თანხა“ და პროცენტს არ ვთხოვო“. ასეთი შემთხვევები ადრე თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან არავითარი კომპრომისი და მოლაპარაკება არ არსებობდა. მიხარია, რომ ყინული დნება და ადამიანები ხვდებიან, რომ მსოფლიოს ახალი წესრიგის შემქმნელთა კანონმდებლობა ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს. არც დღევანდელ ხელისუფლებას დავუკარგავ, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, რომელიც სახლიდან პირდაპირ, გაუფრთხილებლად ასახლებდა, ახლა ზოგჯერ გამოსახლების პროცესის 8- ჯერ გადადება ხდება. პროცესის წლობით გაჭიანურება რომ აიცილოს, ზოგიერთი იპოთეკარი უბრალოდ, იძულებულია, დათმობაზე წავიდეს.

**— კი, მაგრამ ვალის აღება ხომ ფულის უკან დაბრუნებას გულისხმობს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ადამიანი პროცენტებში და პროცენტის პროცენტებში არ უნდა „ჩაახრჩო“. საბანკო-სამევახშეო საქმიანობამ ჩვენთან ძალიან მახინჯი ფორმა მიიღო, რაც იმის ბრალია, რომ ჩვენს გენეტიკაში მევახშეობა არ დევს და ეს ხალხის არჩევანი კი არა, იძულება იყო. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. ვანო მერაბიშვილის ნათესავი მ. ნ-ძე, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროში დღემდე გავლენიანი მფარველები ჰყავს, ნაციონალების დროიდან, მევახშეობას ეწევა და 800-ზე მეტი ოჯახი ჰყავს გამოსახლებული. აქედან, 27 ოჯახის საქმეს ჩვენი კოალიცია იხილავს, თუმცა თქვენს ყურადღებას აქედან ერთ-ერთზე გავამახვილებ. საქმე ეხება 80 წელს გადაცილებულ ქალბატონს ლ. შ-ს, რომელმაც 2006 წელს მ. ნ-გან 4000 დოლარი ისესხა. იმ დროს, იპოთეკის ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში არ ფორმდებოდა, მ. ნ კი მსესხებელთან ისეთ მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდა, რომ ენდობოდნენ და პროცენტის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტს არ თხოვდნენ.ლ.შ-ს მტკიცებით, 4 წლის მანძილზე, იპოთეკარს 12 000 დოლარი გადაუხადა, თუმცა მ.ნ ამას უარყოფს და არც მოხუცი ქალბატონის სიმართლის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ იპოთეკარმა სააღსრულებო ფურცელი აიღო და ლ.შ-ს დიღმის მასივში მდებარე ოთახნახევრიანი ბინა ისე გაყიდა, რომ ოჯახმა არაფერი იცოდა. აუქციონის შემდეგ, როცა გამოსასახლებლად მიადგნენ, მოხუცმა ქალბატონმა მ.ნ-ს კიდევ 4000 დოლარი გადაუხადა, მაგრამ მაინც გამოასახლეს.

**— იპოთეკარი არც ამ 4000 დოლარის გადახდას აღიარებს?**

— ამას აღიარებს და 12 000 დოლარს არა. წარმოიდგინეთ, ადამიანმა აუქციონის შემდეგ „ძირი თანხაც“ დაფარა და მაინც განმოასახლეს. უსამართლობის გრძნობა იმდენად დიდი იყო, რომ 80 წელს გადაცილებულმა ქალმა თავისი სახლის კარი ორჯერ გატეხა და შევიდა. ამჟამად მოხუც ქალბატონს სხვის ქონებაში შეჭრის გამო, უჩივიან და დღემდე სასამართლო პროცესები მიმდინარეობს.

**— იმედია, სახლის დაკარგვის შემდეგ, 83 წლის ქალი ციხეში არ აღმოჩნდება.**

—სხვათა შორის, ეს მუხლი 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ან ჯარიმას ითვალისწინებს, მევახშეები კი არც მოხუცებს ინდობენ და არც ბავშვებს. სხვა მიზეზებთან ერთად, მათი დამსახურებაც გახლავთ, რომ საქართველო უსახლკარო ადამიანებით და ემიგრანტებით გაივსო, რისი მაგალითიც მრავალშვილიანი ჩიტიაშვილების ოჯახი გახლავთ. ამ ოჯახმა 2013 წელს ერთ-ერთ მევახშესთან იპოთეკური ხელშეკრულება გააფორმა და 12 000 დოლარი ისესხა. იპოთეკით დაიტვირთა ამ ოჯახის ერთადერთი, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მარტყოფში მდებარეობს და მასთან ერთად, ორ ჰექტრამდე მიწა. ოჯახმა 12 000 დოლარიდან მხოლოდ 4000 დოლარის გადახდა მოახერხა და 8000 დოლარის გამო, სულ მცირე, 50 000 დოლარიანი ქონება დაკარგა.

**— ხომ შეეძლოთ, რომ საქმე აქამდე არ მიეყვანათ, ქონება სასურველ ფასში გაეყიდათ და ვალი დაეფარათ?**

— ბოლო წლებია, საქართველოში უძრავი ქონების, მით უმეტეს, იპოთეკით დატვირთულის და პრობლემიანის გაყიდვა ძალიან გართულდა. მყიდველის პოვნა ადვილი არ არის, თანაც ოჯახი სახლის გაყიდვით კი არა, ფულის მოძიებით იყო დაკავებული და ფაქტის წინაშე დადგა. ჩიტიაშვილების ოჯახი სამი მცირეწლოვანი ბავშვით ქუჩაში დარჩა. უამრავი მცდელობის მიუხედავად, ამ ადამიანებმა ადგილობრივი ხელისუფლებისგან დროებითი საცხოვრებელი და შემწეობა ვერ მიიღეს და იძულებული გახდნენ ქვეყანა დაეტოვებინათ. ოჯახი ფინეთში წავიდა და ლტოლვილად ჩაბარდა, მაგრამ იქაც პრობლემა შეექმნა თ. ფინეთში ბინადრობის უფლების მოსაპოვებლად, სასამართლო ტარდება, სადაც მოსამართლეებმა არ დაიჯერეს, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმომწერ სახელმწიფოს შეუძლია სამ შვილიანი ოჯახი ქუჩაში გააგდოს. ჩვენ იძულებული გავხდით, ფინეთის სასამართლოსთვის წერილი მიგვეწერა და დაგვედასტურებინა, რომ ჩიტიაშვილები ფაქტობრივად, ჩვენმა კანონმდებლობამ უსახლკაროდ დატოვა და მთავრობაც ვერაფრით დაეხმარა. ჩვენი წერილის შემდეგ, ამ ოჯახს ბინადრობის უფლება მისცეს და ქვეყანამ კიდევ ერთი ქართული ოჯახი დაკარგა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საქართველო საბანკო-სამევახშეო სისტემის გაუმაძღრობის გამო დაიცალა. ვალები რომ გაისტუმრონ და თავზე ჭერს ეღირსონ, ადამიანებს მონურ პირობებში უწევთ მუშაობა და ამას დასასრული არ უჩანს.

**— საუბრის დასაწყისი გაცილებით ოპტიმისტური გქონდათ..**

— როგორც ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს გაზაფხულს, ისე ვერ შეცვლის ერთი და თუნდაც, ათი ნამუსიანი მევახშე სურათს. მით უმეტეს, რომ საბანკო-სამევახშეო სისტემამ ბევრ სფეროში შეაღწია. წარმოიდგინეთ, დისკრიმინაციის უამრავი შემთხვევა გვაქვს, რომ



სახლის გადაფორმებისთანავე, იპოთეკარი ბავშვებიან ოჯახს ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს უთიშავს და ყველაფრის გარეშე ტოვებს. ახლა პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილებას განიხილავს, რომლიც ინიციატორი ივლიანე წულაია გახლავთ. სხვათა შორის, ეს ის წულაიაა, რომელიც საპოლიციო გამოსახლების დაბრუნებას ითხოვდა. მის მიერ ინიცირებული კანონი ბანკებს საშუალებას მისცემს, წლების მსანძილზე დასაკუთრებული ქონება უცხოელებს მიყიდონ. მარტო „თიბისი ბანკის" დეპოზიტზე მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული 157 000 უძრავი ქონებაა გაფორმებული, ამაზე მეტი„საქართველოს ბანკს" და სხვა ბანკებს აქვთ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მარტო ხაშურში, მარტო ერთ, რუსთაველის ქუჩაზე ბანკებმა 17 სახლი დაისაკუთრეს და წარმოიდგინეთ, სხვაგან რა ხდება! ამას დაუმატეთ, უკვე გაყიდული სახნავ-სათესი მიწები და გამოდის, რომ საქართველოს 70% უკვე გაყიდულია! როგორც ჩვენს წინა ინტერვიუში გითხარით, საქართველოში 300 000 მეტი ქონება იპოთეკითაა დატვირთული, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის 70% საცხოვრებელის დაკარგის საფრთხის წინაშე დგას. ამ კანონის მიღებისთანავე, საქართველოს მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონების უცხოელებზე მასობრივად გასხვისება დაიწყება. წლებია, კომერციულ ბანკებს მოქალაქეებისთვის წართმეული ქონების გამოსყიდვის უფლებას ვთხოვთ. პროექტიც გააკეთდა, რომ თუ ბინის ყოფილ მეპატრონეს ქონების გამოსყიდვის უფლებას მისცემდნენ, ბანკები დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდებოდნენ, მაგრამ ამაზეც არ დათანხმდნენ. ამიტომ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბანკებს კაპიკებად ხელში ჩაგდებულ ქონებას იმიტომ ინახავენ, რომ მდიდარ უცხოელებს ათმაგ ფასში მიყიდონ. ეს კანონპროექტი არის ყოფილი ბანკირის მავნებლური ინიციატივა, რაზეც სერიოზული განგაში უნდა ავტეხოთ, რადგან მისი მიღების შემთხვევაში, საქართველოში მხოლოდ ბანკირები, მევახშეები და უცხოელები დარჩებიან. ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ადამიანს ერთადერთი საცხოვრებელი სახლი არ გაუყიდონ, ბიუროზე გავიდა, მაგრამ განხილვას არ ჩქარობენ, სამაგიეროდ, ბანკების ქონების უცხოელებისთვის მიყიდვის ინიციატივას დაჩქარებული წესით იხილავენ. მთელ საქართველოში საპროტესტო გამოსვლებს დავიწყებთ და პირადად მე პარლამენტთან სასიკვდილო შიმშილობას გამოვაცხადებ! ამის დაშვება არაფრით შეიძლება. გავიგეთ, რომ ეს უბედურება წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ" არაფერი გააკეთა, რომ ვითარება შეეცვალა.

— **კონკრეტულად, რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას?**

— პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, გამოსყიდვის ფონდი უნდა შეექმნა, რომ მოსახლეობას ფინანსურად დახმარებოდა, გაეუქმებინა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, რომელიც უდიდესი დანაშაული იყო და დღესაც გრძელდება და ა.შ. არ ვიცი სიბრიყვე დავარქვა, უგუნურება თუ შეგნებული ბოროტება, როცა ხელისუფლება უსახლკარო ბენეფიციარებს ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით ბინის ქირას უხდის და ამ დროს, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უამრავი ცარიელი შენობა ირიცხება. ხომ შეიძლებოდა, ეს ხალხი დროებით, სახელმწიფოს ბალანსზე მყოფ შენობებში შეეშვათ და ქირისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური ფულით, კორპუსები აეშენებინათ? გამოდის, რომ ბიუჯეტის ფული ისევ მევახშეების ჯიბეში მიდის, რადგან უსალკაროებისთვის ძირითადად, მევახშეების მიერ მოქალაქეებისთვის წართმეულ ბინებს ქირაობენ და უკვე იმდენი ფულია დახარჯული, რომ 5 კორპუსს ააშენებდა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი რაღაც გეგმის ნაწილია, თორემ როგორ დავიჯერო, რომ ჩემამდე ეს იდეა არავის გაუჩნდა?

— **კორპუსების მშენებლობა არ ვიცი და უფუნქციო შენობებში დროებით შესახლების იდეა უსახლკარო ადამიანებს დიდი ხანია აქვთ. მოგეხსენებათ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დევნილმა და უსახლკარო ადამიანებმა სახელმწიფოს ბალანსზე მყოფი უფუნქციო შენობები, მათ შორის, უშანგი ჩხეიძის #8 მდებარე ნიჭიერთა ათწლედის შენობა დაიკავეს, თუმცა მაისის ბოლოს, ამ ადამიანებს შენობის დაცლა მოთხოვეს.**

— ჩხეიძის რვაში 130-მდე ადამიანი ცხოვრობდა. მათი ნაწილი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე უსახლკარო იყო და ნაწილი დევნილი. დევნილები დევნილთა სამინისტრომ ფართებით მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილა, დანარჩენ 42 ოჯახს 50 ზე მეტი მცირეწლოვანით ხმაური რომ არ აგვეტეხა, ქუჩაში ყრიდნენ. ეს ბავშვები საზოგადოებრივ მაუწყებელთან მოწყობილ აქციაზე, თავსხმა წვიმაში გამოვიყვანეთ და ხელისუფლება ვაიძულეთ, რომ გამოსახლების პროცესი სასამართლო სიბრტყეზე გადაეტანა. წარმოიდგინეთ, 4 შვილის დედას მაია გაბეშიას, რომელსაც წასასვლელი არსად აქვს, ოთახში დაცვა დაუყენეს, რომ ვინმეს მისთვის საკვები არ შეეტანა და იძულებული გამხდარიყო, შენობიდან გამოსულიყო. ჩვენ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისთვის ვითხოვთ ალტერნატიულ ფართებს, რადგან სახელმწიფო ვალდებულია თავის მოქალაქეებზე იზრუნოს.

პირველი სასამართლო ახლახან, 20 სექტემბერს ჩატარდა. ვაპირებთ, რომ ბოლომდე მივყვეთ ამ პროცესებს და ვნახოთ, სასამართლოსთვის რა უფრო პრიორიტეტულია, 42 ოჯახისა და 50 ბავშვის ბედი თუ სახელმწიფოს ქონება? ვისაც უნდათ, სახელმწიფო ქონებას ლარად აძლევენ და უსახლკარო ბავშვებს დროებითაც კი არ აჩერებენ. აი, ეს არის ჩვენი ყოფილი თუ მოქმედი ხელისუფლების მიდგომა. რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 71-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის დაუღალავად შრომობს და კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. კარგი იქნებოდა, რომ ყველაფერი ასე იყოს, თუმცა ნაციონალების დროინდელი საკანონმდებლო ბაზა, მთავრობის პოლიტიკა და მოსახლეობის მდგომარეობა სრულიად განსხვავებულ სურათს ასახავს.




**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

— **ჩემს მიერ შეტანილი სარჩელი ქონებრივი დავის შესახებ იხილება ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში. მოსამართლეს ვატყობ მიკერძოებას. მსურს საქმიდან მისი აცილება. რომელი კანონიერი საფუძვლით შეიძლება მისი აცილება?**

— პირველ რიგში დაგიზუსტებთ: ის ფაქტი, რომ თქვენ, შესაძლოა, ზოგადად, არ მოგწონდეთ მოსამართლე, არ არის აცილების საფუძველი. მე წარმოგიდგენთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების კანონიერ საფუძვლებს.დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია.

მუხლი 30. სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა

სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები 1. მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში ;

ე ) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე;

ბ) დანიშნული;

გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;

დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;

ვ) მშობლების და-ძმები;

ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი □5550 – ვებგვერდი, 28.12.2011წ.

მუხლი 32. თვითაცილება +

აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

* * *

— **მაინტერესებს ყველა სასამართლო ინსტანციაში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟების მაქსიმუმი.**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე– 3 ნაწილის მიხედვით,

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6 000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8 000 ლარს.

* * *

— **ვარ სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე მოწმედ გამოძახებული. არ გამაჩნია თანხები სასამართლოში გამოსაცხადებლად. შემიძლია თუ არა, ამ მიზეზით უარი ვთქვა სასამართლოში გამოცხადებაზე?**

— პირველ რიგში განგიმარტავთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

რაც შეეხება ხარჯებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს გამოიძახებს სასა მართლო მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

# როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთსა და შუაგულ ევროპაში?

მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ მთავარ მოვლენად გასულ კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა გახდა, რომელიც სამოცდამეთორმეტედ გაიმართა. პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების შეშფოთება გამოიწვია დონალდ ტრამპის გამოსვლამ. ის ჩრდილოეთ კორეას სრული განადგურებით დაემუქრა. მსგავსი განცხადება გაეროს არსებობის მანძილზე არც ერთ პოლიტიკოსს, მით უფრო, ქვეყნის მმართველს, არ გაუკეთებია.

პოლიტოლოგების შეფასებები ტრამპის გამოსვლაზე, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკული გახლდათ. აი, რას ამბობს ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი, რომელიც ტრამპის მოწინააღმდეფეთა რიგებში არ მოიხსენიება. ტრამპის გამოსვლა მთელ რიგ საკითხებში პოპულისტური და ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, რომ იცოდეს, როგორ შეაჩეროს ქვეყანაში ბალისტიკური რაკეტების გამოცდები, აქამდე ამას გააკეთებდა. ამიტომაც განაცხადა ჩრდილოეთის სრული განადგურების შესახებ. სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს, რამდენი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპება ბირთვული ომის შემთხვევაში, ჩრდილოეთს რომ თავი დავანებოთ, სამხრეთ კორეაში, ან თუნდაც იაპონიაში.

ვენესუელაში არსებული რეჟიმის დამხობა შესაძლებელია სხვადასხვა ამბოხებების მეშვეობით, მაგრამ შემდეგ რა იქნება, გაუგებარია. შარშან, პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნისას, მისთვის მსგავსი პროექტები მიუღებელი იყო. რაც შეეხება გაეროს რეფორმირებას, ფაქტობრივად, ეს არარეალურია.

სირიაში სამთავრობო ჯარებმა ტერორისტებისგან ქვეყნის თითქმის 80 პროცენტი გაწმინდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, რეგიონში საომარი ვითარება და ქაოსი ჯერ კიდევ არ დასრულდება. ამის მიზეზად მიმომხილველები ერაყში ქურთების მიერ ჩატარებულ რეფერენდუმს ასახელებენ. მათი მოთხოვნაა, შექმნან ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქურთების სურვილი არახალია, ისინი ათწლეულებია, დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ. ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, რომ 2003 წელს აშშ-ის ჯარების ერაყში შესვლა და სადამ ჰუსეინის დამხობა მოკლე დროში იმიტომაც გახდა შესაძლებელი, რომ ქურთებს საერთოდ არ გაუწევიათ წინააღმდეგობა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ჰუსეინის დამხობის შემდეგ მიიღებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. საწადელს რომ ვერ მიაღწიეს, მას შემდეგ გაძლიერდა ერაყსა და სხვა ქვეყნებში ტერორიზმიო, აცხადებენ მიმომხილველები.

ქურთების სურვილს დამოუკიდებლობაზე ირანის, თურქეთის და თავად ერაყის ხელისუფლებები შიშით უყურებენ. მათი შეშფოთება გასაგებია, რადგან ამ ქვეყნებში თითქმის 40 მილიონი ქურთი ცხოვრობს. დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში სამივე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შეირყევა. გარდა ამისა, ადვილი შესაძლებელია, თურქეთმა და ირანმა ძალისმიერი, მათ შორის, შეიარაღებული ძალები გამოიყენონ ქურთების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ თურქებს აქვთ ქურთების წინააღმდეგ მოქმედების გამოცდილება. გავიხსენოთ თუნდაც აბდულა ოჯალანი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ხანგრძლივი დროით ჰყავდათ ციხეში.



კიდევ ერთი რეგიონი, რომელსაც პოლიტიკური რუკის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი, ევროპაშია. ესპანეთში კატალონიელებს 1 ოქტომბერს აქვთ დანიშნული რეფერენდუმი დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ესპანეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, შეაჩეროს და არ ჩაატარებინოს რეფერენდუმი. ამისთვის კატალონიის ქალაქებში, მათ შორის, ბარსელონაში, ჯარებია მობილიზებული. კატალონიის პოლიცია აღარ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას. ამიტომაც გახდა საჭირო მადრიდიდან სამართალდამცველების მივლინება.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთსა და შუაგულ ევროპაში.

**გია ბურდული**
551 71 27 07





# ჭკვიანი დავითი და კაბაში გადაცმული „ტიგრანები“ რესპუბლიკური პარტიიდან



ჭკვიანი კაცია დავით უსუფაშვილი — ცოლთან ერთდა დროულად მოცოცხა რესპუბლიკური პარტიიდან, თორემ მანდ ისეთი ამბავია, შეიძლება ამ „პატიოსანი და წესიერი“ ცოლ-ქმრისთვის ლგბტ თემში ეკრათ თავი.

ხალხი ამბობს: ჩვენ არ აგვირჩევია „რესპუბლიკელები“, 2012 წლის პარლამენტში ამერიკელებმა „ჩაგვიდესო“?

ახლა, ვინ აპირებს მათ „ჩადებას“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ასე რომ იჭაჭებიან და ერსა და ბერს თავსლაფს რომ ასხამენ?

— „ჩვენ საპატრიარქომ არ უნდა გვმართოს; არც ეკლესია უნდა მართოს ხელისუფლებამ; მართული ეკლესია საშიშია; გარე საფრთხეების პირობებში — მითუმეტეს; საპატრიარქოში კი დღეს რუსული გავლენებია“, — დაგვძახიან ქალები „რესპუბლიკური პარტიიდან“.

რა თანასწორობასა და თავისუფალ არჩევანს ებრძვის ასეთს საპატრიარქო, რომ ლამის ტანისამოსიდან ამოხტნენ, ეს ერთი შეხედვით ნორმალური ქალები? ხათუნა სამნიძეს რაღა ძმარავს, თორემ თამარ კორძაია ის თამარია, რომელიც თვლის, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება ადამიანთა უფლებების კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია. მოვუსმინოთ „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ თბილისის საკრებულოს სიის მე-7 ნომრად წარდგენილ ნინო ბოლქვაძეს:

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ანტიდისკრიმინაციული კანონი განიხილებოდა საქართველოს პარლამენტში, მე პირველად დავუკავშირდი თამარ კორძაიას. მომწონდა მისი საჯარო გამოსვლები, ემთხვეოდა ჩემს ღირებულებებს.. მახსოვს, ვესტუმრე და ვთხოვე, მტკიცედ დაეცვა... მას შემდეგ ჩვენ, თემი, ვხედავდით, რომ ამ ადამიანს ყოველთვის მყარი პოზიცია ჰქონდა და არასდროს გადაუხვევია ამ პრინციპებიდან. პარტიამ გახსნა კარი და თქვა, რომ იმ ადამიანებს, ვისაც ჰგონია, რომ უნდა შეიცვალოს ჩვენი საზოგადოება სწორედ თანასწორობის პრინციპის გამყარებიკენ — და მე ჩავთვალე, რომ ჩემი ადგილი იყო აქ,“ — განაცხადა ბოლქვაძემ, შვილების დედამ, იურისტმა, 6-წლიანი ლგბტ აქტივისტის სტაჟით.

„არაპოპულარული ნაბიჯები, როდესაც ისინი სიმართლეა, არის გარღვევა. საქართველო ვერ იქნება ევროპული სახელმწიფო თუ მისი ყველაზე დიდი აღმსარებლობის ორგანიზაცია (მართლმადიდებლური ეკლესია), როგორც ინსტიტუტი, იქნება შეზრდილი ხელისუფლებასთან,“ — ეკლესიის სიძულვილით სწორედ უშნო კამეჩივით აგუნდავებს ენას დავით ბერძენიშვილი.

„ჩვენ, „რესპუბლიკელები“ მკაფიოდ მომხრე ვართ სეკულარობის პრინციპის, სახელმწიფო და ეკლესია უნდა იყოს გამოყოფილი ერთმანეთისგან“, — აყიყლიყოვებს დავით ზურაბიშვილი.

ვინმე ლაშა ომარაშვილი ვიღას დაჰკარგვია, ბნედამორეულივით რომ აბოდებს, ქრისტიანობამ თავისი დრო მოჭამაო...

ამ პარტიის თითქმის ყველა წარმომადგენელს პიროვნულ უცნაურობასთან ერთად უცნაური ბიოგრაფიებიც აქვთ. ვინ როდის გაებუტა თუ შეუამხანაგდა ე.წ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამსახურს და რატომ, ახსნა არ ეძებნება მონანიებების გარდა; ან როგორ აღზევდნენ „რესპუბლიკური პარტიის“ ცალკეული პირები, არც ესაა მთლად გარკვეული. ამბობენ, სწორედ სხვადასხვა დამსახურებების გამო იყო ჯერ კიდევ იმ შავ-ბნელ დროში „ლოიალურად დაშვებული“ ეს ერთი პარტიაო.

კაცმა რომ სიტყვად იკითხოს: რატომ ხდება ასე, რომ არავინ ინტერესდება დღემდე, ასე არაპოპულარულ პარტიას და მის პირმშოს, ასევე არაპოპულარულ „საია-ს“ (და იმავე ფესვიდან აღმოცენებულ სხვა განშტოებებს) დაარსებიდან რითი უდგათ დღემდე სული, ვინ, რატომ, რისთვის და რა მიზნით ასულდგმულებს?

ასეა თუ ისე, ძღვენიჭამიები იმის გარანტიას მაინც იქმნიან, რომ ძღვენი არ მოაკლდეთ, თორემ ამათი ამრჩევი არსად არავინ რომ არ არის, ყველაზე უკეთ მათ იციან...

რამდენჯერ დაესხნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას თავს როგორც პირდაპირ, ნგრევით, სასულიერო პირებისა და მრევლის ფიზიკური შეურაცხყოფითა თუ დაპატიმრებებით და რამდენჯერ სიტყვიერად, დაითვალა ვინმემ?

„გიგა ბოკერიასა და კამპანიის“ აუსრულებელი გეგმა „ორი პატრიარქი“ ხომ გვახსოვს... და კიდევ ბევრი რამ...

განა რამდენი მართლმადიდებლური ქვეყანაა დედამიწაზე? ახლა „რუსეთის“ გავლენა აღმოაჩინეს ეკლესიაში. მართლმადიდებლურ ეკლესიებში მართლმადიდებლობის ქადაგება გავლენას გამოხატავს?

თუ გავიხსენებთ ზბიგნევ ბზეჟინსკის ნათქვამს, „მას შემდეგ, რაც ჩვენ დავამარცხეთ სოციალიზმი, ჩვენი მთავარი მტერი არის მართლმადიდებლური ქრისტიანობა,“ — აღარ იქნება გასაკვირი, საიდან უბერავს ქარი რესპუბლიკელების დროშას, ასე ძალუმად რომ ფრიალებს.

როგორც ბატონი ნოდარ დუმბაძე ამბობდა: — „ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ტიგრანად გადაიქცევა, ღმერთს შერცხვება თავისი ნახელავისა და მოსპობს კაცობრიობასო...“

ღმერთი მოხარული არ იქნება, ამგვარი და ამნაირი რესპუბლიკური პარტია რომ არსებობს ამ ქვეყანაში, მაგრამ, იმედია, ამ გადაგვარებული „ტიგრანების“ გამო საქართველოს არ გაწირავს.

**გიორგი ჩხეიძე**

## გვანცა ყუფარაძე:

# მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა, ევროპულმა სასამართლომ კი – ყველაფერს ხაზი გადაუსვა

რამოდენიმე დღის წინ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „ზესამართლიანი“ ვერდიქტი გამოიტანა – გვანცა ყუფარაძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე, სადაც ყოფილი მსჯავრდებული მის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებას არაადაამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობაში ადანაშაულებდა, გადაწყვეტილება ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, გვანცა ყუფარაძის მიმართ სარჩელში ჩამოთვლილი მუხლების დარღვევა არ დადგინდა. თითქოს მათთვის უცნობი იყო რა ხდებოდა საქართველოს ციხე-კოლონიებში სააკაშვილის ზეობის ხანაში და თითქოს სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშში არ ხვდებოდა ის გაუგონარი წამების, დამცირების არაადამიანურად მოქცევის ფაქტები რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება ახორციელებდა მსჯავრდებულების და მოქალაქეების მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მოსამართლეები რომლებიც ცნობილნი იყვნენ უკანონოდ გამოტანილი განაჩენების სიმრავლით, გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ საქმეებზე დაწინაურებულები არიან და სასათბურე პირობებში ყავს ახლანდელ ხელისუფლებასაც... ზესამართლიანი“ ვერდიქტი რასაკვირველია სიხარულით აიტაცეს ნაცსატელიტური მედიის წარმომადგენლებმა და სასურველი ინტერპრეტაციით ატრიალეს. იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ობიექტურად შეაფასა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება და ჟურნალისტებთან განმარტა – მე ვერ დავეთანხმები ვერც იმას, რომ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, თურმე 2007–2008 წლებშია ციხეში რეფორმები ჩატარდა. ჩვენ ვერ დავარქმევთ რეფორმებს იმას, რომ „იუნისეფის“ და მაშინ ევროკავშირის ძალიან სერიოზული ზეწოლის შედეგად, ჩვენმა წინამორბედმა მთავრობამ, გვანცა ყუფარაძე ერთ გარემონტებულ საკანში გადაიყვანა“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც კი აღაშფოთა სტრასბურგის გადაწყვეტილებამ და განაცხადა- „როდესაც არასრულწლოვანი ხუთი თვის განმავლობაში განცალკავებით იხდის სასჯელს ეს უკვე არაადამიანური მოპყრობაა ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია ამ საქმეში დღემდე“. გვანცა ყუფარაძემ ჟურნალისტების „შეტევის“ მოსაგერიებლად ვიდეო მიმართვა გაავრცელა. სადაც ამომწურავი პასუხი გასცა ყველა კითხვას, რომელიც შესაძლებელი იყო დასმულიყო. „...მე მქონდა ინფორმაცია არა ერთი სანდო წყაროსგან იმის თაობაზე, რომ სტრასბურგის სასამართლოში მყოფ ნონა წოწორიასა და ძველი სახელისუფლო რეჟიმის წარმომადგენლებს შორის არსებობდა მჭიდრო კავშირები და თანამშრომლობა. მაწვდიდნენ ინფორმაციას და მაფრთხილებდნენ იმის თაობაზეც, რომ წოწორიასა და ალანიას შორის არსებობდა კავშირები და სწორედ ამიტომ იბრძოდა ასე ჯიუტად თამარ ალანია ევროსასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში გასვლისთვის. თუ ამას მოახერხებდა, ჰქონდა გარანტია, რომ სტრასბურგში მას აირჩევდნენ. მე არ მჯეროდა, რომ შესაძლებელია ასეთი დონის ინსტიტუციის გავლენის ქვეშ მოქცევა, ჩემთვის ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, რეალობა სხვაგვარია. გავლენაში იგულისხმება ლობი, შიდა კოლეგიალური კავშირები და სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე, ნდობა წოწორიასადმი. მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა, ევროპულმა სასამართლომ კი – ყველაფერს ხაზი გადაუსვა.



გვანცა ყუფარაძე ვიდეო მიმართვაში ამბობს, რომ არ აპირებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას... ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნიღაბი ბოლომდე ჩამოიხსნა თუმცა, ადამიანების დიდი ნაწილი ნიღაბს მიღმაც ხედავდნენ სამართლიანობის მანტიაში გახვეულ სატანური სულს. გვანცა ყუფარაძის მიმართ გამოტანილი უსამართლო გადაწყვეტილება არაფერს ცვლის იმ ასეულობით ყოფილი პატიმრისთვის, რომლებმაც არაადამიანური მოპყრობა, სამართლიანი სასამართლოს უფლების წართმევა, წამება და ყველა ნაცუბედურება თავის თავზე გამოსცადეს და დღემდე ცდილობენ დაივიწყონ ის კოშმარული დღეები. ევროპულ სასამართლოს კი თავის დროზე ერთი მიზეზით არ მიმართეს- რაც ჩვენი ქვეყნის სასამართლოში ხდებოდა იგივეს ელოდნენ სტრასბურგიდან და ზედმეტი ხარჯი თავისტკივილად აღარ სურდათ. ქალთა კოლონიაში (მატროსოვზე) მყოფმა ყოფილმა პატიმრებმა შესანიშნავად იციან, რომ გვანცა ყუფარაძის მიმართ გამოტანილი ევროსასამართლოს ვერდიქტი მხოლოდ ნაცხროვის გათეთრებას ემსახურება, ხოლო საჩივარში მოყვანილი ფაქტები სრული სიმართლე გახლავთ. საინტერესოა მოსამართლე ალანია და „დიდი“მოსამართლე წოწორია რამდენ ხანს გაძლებდნენ მიწაზე დაშენებულ ორ კაციან საკანში სადაც რვა ქალი, მოუწესრიგებელი კანალიზაცია, უჰაერობა, სიბნელე იქნებოდა და დილიდან დილამდე ვირთხები, თაგვები მკბენარე მწერების აკომპანიმენტით დავლურს ჩამოუვლიდნენ... ევროპულმა სასამართლომ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ის შერჩევითი სამართალი რომელიც ნაცრეჟიმის დროს „დაჭენაობდა“ ჩვენს ქვეყანაში „ევროპული“ყოფილა და იმ ცხრაწლიან სისხლიან რეჟიმს მხარს უჭერდა, „დასავლეთის უფლისწულ“მიხეილს კი გულწრფელად გულშემატკივრობდა. სულხან მოლაშვილის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ათი წელი დაჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განჩინების მიხედვით, სულხან მოლაშვილის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის მესამე, მეხუთე, მეექვსე და მეთოთხმეტე მუხლები. ეს მუხლები, შესაბამისად, შეეხება ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა: თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციისა და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა. ვერდიქტის გამოცხადებას კი წინ უძღოდა მხარეთა შორის მორიგება, რითაც საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ევროკონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა. ხელისუფლებამ ასევე აიღო ვალდებულება, რომ საფუძვლიანად გამოიძიებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სულხან მოლაშვილის წამების ფაქტს და ზიანის ანაზღაურების სახით უახლოეს სამ თვეში 20 ათას ევროს გადაუხდიდა. დიახ, ოცი ათას ევროდ შეფასდა სულხანის, მისი



ცოლ-შვილის ძმის, მამის ათწლიანი წამება, სამართლის ძებნა, ხარჯი, შიშის თანხლებით ცხოვრება, ძმის დაპატიმრება, შვილის ცემა და ათასი სიბინძურე რაც ნაცელიტის ტვინში „მოიხარშა“.

„ნაციონალური მოძრაობის“ სისხლისმსმელი რეჟიმის არსებობა საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილი გახლდათ და ათი წლის შემდეგ სტრასბურგის „აღიარება“ სულაც არ იყო სასწაულმომქმედი მალამო, რომ სულხანისთვის და მის ოჯახის წევრებისთვის წლების მანძილზე მიყენებული იარები მოეშუშებია... სამაგიეროდ რუსთავი-2-ის შემთხვევაში „ნაცხროვის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლოს“ მორიგე მოსამართლემ ოპერატიულად მიიღო ნაცხროვის სასარგებლოდ გადაწყვეტილება და კიდევ ერთხელ დაარწმუნა საზოგადოების უმრავლესობა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო მხოლოდ თავის „გოშიებს“იცავდა. ზოგადად ევროპა, როგორც ჩანს ფულიან გარეწრებს წყალობს, შეგახსენებთ, რომ 2014 წელს, დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიციაზე საფრანგეთის სასამართლომ უარი განაცხადა. 20016-წელს ექსტრადირებაზე დიდმა ბრიტანეთმაც უარი თქვა გარდა ამისა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ინტერპოლის ძებნილთა სიაშიც აღარ არის და რამოდენიმე ბრალდება მიმდინარე წლის იანვარში ჩვენმა კეთილი გულის მოსამართლემაც მოუხსნა. სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი გაამართლა. საქმე ეხება რიყის ეპიზოდს, რაზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი გამართლდნენ და პროკურატურამ ეს განაჩენი გაასაჩივრა. სახელმწიფო ბრალდება მათ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავებოდა. თბილსერვისის ეპიზოდზე კი სააპელაციო სასამართლომ მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების პირველი ნაწილზე გადააკვალიფიცირა. ნუ, გასახსენებლადაც არ ღირს 2005 წელს კოდუა „კეზერას“ დაჭერის სურვილით, რომ გახლდათ შეპყრობილი, გვიან მიხვდა „კეზერას ლობი“ აჯობებდა და „წამლის დვიჟენიით“ ვერ დაიჭერდა. თუმცა ჩანაფიქრი თანამშრომელმა „გაუბაზრა“ და დიდხანს ტრიალებდა ტვ-ზე თანამდებობის პირისთვის შეუფერებელი საქციელი. ნარკოტიკები ვენას არც სხვა ნაცელიტის წევრებს წვავდა, მაგრამ მათთვის ყველაფერი შეიძლებოდა. გვამების შეგროვებით დაწყებული გაუპატიურებით დამთავრებული. მათ მაშინაც „დემოკრატიულ-ლიბერალური კალთა“ ფარავდა და ეხლაც მათი ძუძუები ლოცავენ როცა მათ მიერ გამწარებული ადამიანების წყევლა-კრულვის წყვდიადში ეხვევიან. აი, დასავლეთის „უფლისწულ“ მიშას ისეთი წყვდიადის ანგელოზები მფარველობენ, რომ ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ უარი თქვა მის წინააღმდეგ საერთაშორისო დევნის გამოცხადებაზე. უარის თქმის საფუძველი კი პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლებრივი დევნის საფრთხე ყოფილა. რაც შეეხება მიშას უფროს ვეზირ-ადეიშვილს 2015 წლის 9 აპრილს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო ინტერპოლის გენერალური სამდივნოს წერილი, რის საფუძველზეც ქართულ მხარეს ეცნობა, რომ ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ გაუქმდა ზურაბ ადეიშვილის მიმართ გამოცემული წითელი ცირკულარი. უფრო ადრე ერეკლე კოდუაზე შეწყვიტეს დევნა. ასე, რომ ევროპის სასამართლო და ინტერპოლის ბიურო ფულიან გარეწრებს წყალობს.




**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, დონალდ ჯ. ტრამპს



**ტექსტის თარგმანი ინგლისურ ენაზე გაეგზავნათ:**

**აშშ ვიცე-პრეზიდენტს მაიკლ პენსეს; აშშ სახელმწიფო მდივანს რექს ტილერსონს; ჰელსინკის თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს აშშ-ში როჯერ ვიკერსა და ქრისტოფერ სმისს; გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტიერრესს; ევროპარლამენტის პრეზიდენტს ანტონიო ტაჯანის; ევროკავშირის პრეზიდენტს ჟან-კლოდ ჯანკერს; ევროსაბჭოს მდივანს ჰავიერ სოლანას; გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს; საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს; რუსეთის ფედერაციის ელჩს აშშ-ში ანატოლი ანტონოვს; გერმანელ პოლიტოლოგს ოსკარ ლაფონტაინს; გერმანის ბუნდესტაგის დეპუტატს სარა ვაგენკნეხტს, ევროსაბჭოს საგარეო ურთიერთობათა წარმომადგენელს ფედერიკა მოგერინისა და სხვა ოფიციალურ პირებს.**

ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ, აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფის სახელით მოგილოცოთ ეს საპატიო მოვალეობა თქვენი ქვეყნისა და ასევე მთელი მსოფლიოს წინაშე. დადგა დრო, ამერიკის შეერთებულ შტატებს პრეზიდენტად ჰყავდეს სამართლიანობისთვის მებრძოლი (ასე გვახსოვს თქვენი წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიიდან) ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორიც თქვენ ბრძანდებით!

გისურვებთ წარმატებას წინააღმდეგობებით აღსავსე ამ რთულ გზაზე!

ბატონო პრეზიდენტო, მოგეხსენებათ, ქართველი ერი დღევანდელი სამყაროს ერთერთი უხუცესი ერია; თავად საქართველო კი პატარა, ლამაზი, უძველესი კულტურის ქვეყანაა (ყოველ შემთხვევისთვის, ასეთი იყო 1992 წლის 6 იანვრამდე), მდებარე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, რაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, განაპირობებს მის პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს კი ყოველთვის საბედისწერო იყო მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლისა და განსაკუთრებით კი ქართველთათვის – დაწყებული მითიური არგონავტების ლაშქრობიდან, დამთავრებული თანამედროვე მსოფლიო გლობალური პროცესებით.

ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ 1992 წლის 6 იანვარს აშშ-ს იმდროინდელი პრეზიდენტის ჯორჯ G.W. ბუშის ადმინისტრაციისა და სსრკ იმპერიის ხელმძღვანელების გორბაჩოვ-შევარდნაძის უშუალო ჩარევით, საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელდა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ერთ დროს ბედნიერი, ერთ მუშტად შეკრული ქართველი ერი დღეს უკიდურეს გაჭირვებას, დეგრადაციას განიცდის და თითქმის გადაშენების პირასაა მისული.

გაეროს ბოლო მონაცემების მიხედვით ქართველი ერი მსოფლიოს მომაკვდავი ერების ხუთეულშია შესული.

**SOS! SOS! SOS!**

ბატონო პრეზიდენტო, მინდა განსაკუთრებით ავღნიშნო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შექმნა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით განხორციელდა:

1990 წლის 28 ოქტომბერს კომუნისტური რეჟიმის 70-წლიანი ბატონობის შემდეგ ქართველი ერის ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი – პირველად სსრკ-ში შემავალ ქვეყნებს შორის საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები, სადაც უდიდესი უმრავლესობით გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომლის სპიკერიც გახლდათ საქართველოში ეროვნული მოძრაობის წინამძღოლი და სულისჩამდგმელი, ბატონი ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოსახლეობის 98,9%-მა გამოხატა საკუთარი ნება და მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918–21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს კონსტუტუციის საფუძველზე კი მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობამ (87%), ქართველებმა და მათთან ერთად არაქართველთა უდიდესმა უმრავლესობამ საქართველოს პრეზიდენტად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია.

მისი აღმატებულება, ბატონი ზვიად გამსახურდია – ერუდიტი, მწერალი, მთარგმნელი, პოეტი, ესეისტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, პოლიტიკოსი, ადამიანის უფლებათა უდიდესი დამცველი, დაიბადა და აღიზარდა მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში.

თავისუფლებას მოწყურებული ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა დამოუკიდებელი ქვეყნის აღმშენებლობას, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა...

როგორც მოგვიანებით გაირკვა, არც ელცინის რუსეთს და არც აშშ-ს იმდროინდელ ადმინისტრაციას პრეზიდენტ ჯორჯ H. W. ბუშის ხელმძღვანელობით არ აწყობდათ საქართველოს რესპუბლიკის ძლიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება: 1991 წელს უკრაინის რადაში გამოსვლისას ბატონმა ბუშმა მიმართა საბჭოთა რესპუბლიკებს, რომ ამ ეტაპზე სსრკ-ს დაშლა შეუძლებელია და შესთავაზა „დემოკრატია“ თავისუფლების სანაცვლოდ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-დასავლეთი ევროპა დაუპირისპირდა საქართველოს რესპუბლიკის პირველ და ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას. დაუპირისპირდა ადამიანს, რომელიც ათწლეულების მანძილზე იბრძოდა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდია იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და ასევე იღვწოდა პოლიტიკაში საერთაშორისო ნორმების, ზნეობისა და მორალის დამკვიდრებისთვის, აშშ-ს პრეზიდენტმა იგი „დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში“ დაადანაშაულა; ხოლო აშშ-ს ვიცე პრეზიდენტი, ბატონი ჯეიმს ბეიკერი უფრო შორს წავიდა და ბატონ ზვიად გამსახურდიას „დიქტატორი“ უწოდა.

როგორც შემდგომ გამოჩნდა, Aაშშ-დასავლეთი ევროპის ხელისუფალთათვის კარგად აპრობირებული მეთოდია დიქტატორად გამოაცხადონ იმ ქვეყნების პრეზიდენტები, ვინც მათთვის მიუღებელია და ვისი მოშორებაც სურთ...

1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დამარცხებულმა კომუნისტურმა ნომენკლატურამ საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, კრიმინალურ ჯგუფებთან ერთად, დასავლეთის მიერ მართულ „ოპოზიციასა“ და კრიმინალურ პრივილეგირებულ საბჭოთა ინტელიგენციაზე დაყრდნობით მოაწყო სახელმწიფო გდატრიალება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპყრობილეებიდან სპეციალურად გამოშვებულმა 4000-ზე მეტმა კრიმინალმა.

1991 წლის 22 დეკემბერს, დილის 8 საათზე, მთავრობაზე შეიარაღებული თავდასხმით დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება, რომლის მიზანიც იყო ეროვნული ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა და საქართველოს ესენგეში შეყვანა, რაც კანონიერი ხელისუფლების განდევნის შემდეგ სრულად განხორციელდა. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების დასამხობად გამოყენებული იქნა სსრკ წითელი არმია, კერძოდ, ამიერკავკასიის შეიარაღებული სამხედრო ნაწილები.

1992 წლის 6 იანვარს 16-დღიანი წინააღმდეგობის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურმა პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დეპუტატებთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად დატოვა თბილისი, რათა თავიდან აეცილებინა შემდგომი სისხლისღვრა და სამოქალაქო ომი, გაემგზავრა ჯერ მეზობელ სომხეთში, ხოლო შემდეგ თავი შეაფარა რესპუბლიკა იჩქერიას – ჩეჩნეთს.

აშშ-სა და დასავლეთი ევროპის წამყვანი ქვეყნების ხელისუფალთ საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი პუტჩი შეაფასეს, როგორც ქართველი ხალხის „თავისუფალი“ ნების გამოვლინება. მათ უგულებელჰყვეს რა საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა, მხარი დაუჭირეს კრიმინალების სამხედრო ხუნტას იოსელიან-კიტოვან-სიგუას შემადგენლობით და ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ 1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან საქართველოში ჩამოსულიყო... შევარდნაძე საქართველოში ვერ ჩამოვიდოდა, ერთნაირად მისაღები რომ არ ყოფილიყო აშშ-სა და დასავლეთი ევროპის ხელისუფალთათვის.

ამ დროისათვის მთელს საქართველოში და განსაკუთრებით კი დედაქალაქ თბილისში ეწყობოდა მშვიდობიანი მანიფესტაციები და მიტინგები ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით, რომელსაც სამხედრო ხუნტა სისხლში ახშობდა. არნახული ტერორი მძვინვარებდა... დედაქალაქში რომ აღარ ედგომებოდათ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეების დიდმა ნაწილმა თავის გადარჩენის მიზნით დასავლეთ საქართველოს, სამეგრელოს მიაშურა, სადაც ასევე მოსახლეობა ერთხმად ითხოვდა კანონიერების აღდგენას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ უკანონო ფორმირება „მხედრიონმა“ სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთან ერთად ხუთგზის დალაშქრა და გადაწვა საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე, სადაც მკვლელობასთან ერთად არ ერიდებოდნენ ძარცვას, ადამიანთა წამებას, ახალგაზრდა გოგონების გაუპატიურებას, სხეულის სხვადასხვა ნაწილების მოკვეთას და სხვა საშინელებებს. ყოველივე ამის დამადასტურებელი ვიდეო- მასალა და ნაწამებ ადამიანთა მონათხრობები გადმოცემულია წიგნში „მე ვადანაშაულებ“, რომელიც 2001 წელს გამოიცა საქართველოში.

სწორედ ამ პერიოდში, 1992 წლის 2 დეკემბერს, დიდი ძალისხმევის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურ პრეზიდენტს დევნილობაში, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიეცა საშუალება დასავლეთ ევროპაში გამგზავრებულიყო. იგი ეწვია ჯერ ჰელსინკს (ფინეთი) და შემდეგ ვენას (ავსტრია). მან არაერთი პრესკონფერენცია გამართა, სადაც მთელი მსოფლიოს გასაგონად კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოში მომხდარი შეიარაღებული სამხედრო გადატრიალებისა და მისი წასვლის შემდეგ ქვეყანაში დატრიალებული ტერორის შესახებ. ასევე არაერთ გაზეთს, ტელევიზიას, რადიოს მისცა ინტერვიუ... შეხვედრები ჰქონდა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც!

სამწუხაროდ, მისი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა...

„ცივილიზებული“, „დემოკრატიული“ აშშ-დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი სრული დუმილით შეხვდნენ ისეთ ყოვლად უსამართლო და უკანონო ფაქტს, როგორიც ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობაა. უფრო მეტიც, მათ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ბატონი ზვიად გამსახურდიასთვის ჩეჩნეთში დაბრუნებულიყო... მათი მცდელობა, ამ გზით აეძულებინათ ბატონი გამსახურდია პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა ევროპის რომელიმე ქვეყანაში, კრახით დამთავრდა – თურქეთისა და ლიტვის პრეზიდენტების ძალისხმევით ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გააღწია ევროპიდან და კვლავ ჩეჩნეთში დაბრუნდა.

1993 წლის აგვისტოში შევარდნაძისა და მისი სამხედრო ხუნტის წყალობით გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომი საქართველოს ძირძველ მიწაზე – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაც გახლდათ შედეგი საქართველოში ხელოვნურად გაღვივებული ეთნოკონფლიქტებისა. ამ ომმა შეიწირა 30 000-ზე მეტი ქართველის სიცოცხლე, 300 000 ქართველი კი გამოძევებულ იქნა საკუთარი საცხოვრისიდან და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცა. ეს ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა მიზანდასახული გენოციდი, მოწყობილი ქართველი ხალხისა და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

1993 წლის 24 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ზუგდიდში შედგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მესამე მოწვევის მეორე სესია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებისა და კანონიერი ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის შესახებ. მისი აღმატებულება, ბატონი ზვიად გამსახურდია, საომარ ქმედებათა აღსაკვეთად და კანონიერების აღსადგენად, საქართველოში დაბრუნდა. საქართველოს არალეგიტიმურმა ხუნტის მემკვიდრე ედუარდ შევარდნაძემ ქვეყნის ლეგიტიმური პრეზიდენტის დაბრუნებას ელცინის რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მეთაურის, ადმირალ ბალტინის სადამსჯელო ჯარის ნაწილების მოწვევით უპასუხა და ამასთან, აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი ელცინის რუსეთს ჩააბარა.

ამრიგად, განხორციელდა კიდევ ერთი სადამსჯელო ოპერაცია დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკისა და მისი კანონიერი ხელისუფლების მიმართ. გაგრძელდა საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მორიგი დევნა... იგი იძულებული გახდა რამოდენიმე თანმხლებ პირთან ერთად სამეგრელოს ტყეებისთვის შეეფარებინა თავი...

ამავდროულად, ოქტომბრის მეორე ნახევარში (1993), აშშ-ს პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა წერილი გაუგზავნა ხუნტის მემკვიდრე ედუარდ შევარდნაძეს, სადაც გამოხატა მისდამი მხარდაჭერა და ვაშინგტონში მიიწვია, რაც პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების

დაპირება უფრო იყო, რამეთუ კანონიერების აღდგენის მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას მომხრეების მხრიდან იმ პერიოდში კვლავ გრძელდებოდა დაუმორჩილებლობის აქციები და საპროტესტო მიტინგები.

ბატონო პრეზიდენტო, 1993 წლის 25 ოქტომბერს ვაშინგტონში გაიმართა ევროპის უშიშროებისა და ერთიერთობის საბჭოს მორიგი სხდომა, სადაც მოხსენებით წარდგა საქართველოდან იმ ხანად დაბრუნებული „ნიუ-იორკ თაიმსის“ კომენტატორი, ბატონი თომას გოლცი: „ბატონი გამსახურდია უდაოდ ძალზე პრობლემატური პიროვნებაა, მაგრამ მას აქვს ის, რასაც ჩვენ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას ვუწოდებთ და იგი ხელისუფლებას პუტჩის მეშვეობით ჩამოაშორეს...ედუარდ შევარდნაძის უმთავრესი პრობლემა, რომელსაც ის დღეს საქართველოს მართვისას აწყდება, იმაში მდგომარეობს, რომ მისი ხელისუფლება პუტჩის გზითაა დამყარებული ამ ქვეყნის დემოკრატიულად არჩეული ლიდერის იარაღით დამხობის შემდეგ“...

**Corrent Situacion in Georgia and Implications for For U.S. Policy. Briefing of the Commission on Security and Cooperation in Europe, Washington, DC, October 1993.**

ბატონო პრეზიდენტო, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, სამართლის ნორმების აღდგენისა და პოლიტიკაში მორალისა და ზნეობის დამკვიდრებისათვის ბრძოლა „დემოკრატ“ აშშ-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პრობლემად მოიაზრებოდა და სამწუხაროდ, დღესაც არაფერი შეცვლილა ამ კუთხით.

შეშფოთებულმა ვაშინგტონმა კვლავ გვერდი აუარა ამ განცხადებას და შეწუხებულმა – შევარდნაძეს არაფერი დაუშავდესო, სახელმწიფო მდივანი ვარენ ქრისტოფერი სასწრაფოდ და საგანგებოდ მიავლინა მოსკოვს, რათა მიეღო გარანტია, რომ ელცინის რუსეთის არმია ნამდვილად დაიცავდა საქართველოს დამაქცევარ ედუარდ შევარდნაძესაც და მის უკანონო დე-ფაქტო ხელისუფლებასაც. ასე და ამგვარად, აშშ-ს ადამინისტრაციამ კიდევ ერთხელ დაიცვა „დემოკრატია“ საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის შემდეგ...

ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ სპეციალური სამხედრო დანიშნულების ჯარის ნაწილები მიავლინა საქართველოში შევარდნაძის დაცვის წევრების გასაწრთვნელად.

პუტჩისტების მიერ მოწვეული, კრიმინალური სახელმწიფო საბჭოს მემკვიდრე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძემ 1995 წლის ნოემბერში გამართულ უკანონო, ფალსიფიცირებული არჩევნებით მიიღო საქართველოს პრეზიდენტის პოსტი...

ამ დროს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით ბატონი ზვიად გამსახურდია კვლავ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო და ამ თანამდებობაზე არჩეული იყო 5 წლის ვადით – 1996 წლის 16 მაისამდე... მიუხედავად სახელმწიფო გადატრიალებისა, ბატონი ზვიად გამსახურდია არ გადამდგარა და არც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი უზენაესი საბჭოს ლიკვიდაცია არ გამოუცხადებია.

ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ 1993 წლის 31 დეკემბერს, 00 საათსა და 30 წუთზე შევარდნაძის ხუნტისა და მისი სპეცსამსახურების მიერ განხორციელდა ტერორისტული აქტი – ვერაგულად მოკლეს საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია... მკვლელობა დღესაც გამოუძიებელია. რაც დრო გადის, მით უფრო იგრძნობა სიმძიმე დანაშაულისა, რომელიც ქართველი ერის მიმართ იქნა ჩადენილი როგორც შინაური, ასევე გარეშე (აშშ-ს იმდროინდელი ადმინისტრაცია, ელცინის რუსეთი, დასავლეთი ევროპა) მტერთა მიერ 1991–1993 წლებში.

ფაქტია, ტყვია ესროლეს საქართველოს და ქართველი ერის მომავალს და ამაზე პასუხი არავის უგია:

განადგურებულია ქართული სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერებათა აკადემია;

გაყიდულია მიწა, წყალი, ტყე, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები;

ფაქტიურად, ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკა. საქართველო მსოფლიო სავალუტო ფონდისა და აღვირახსნილი ბანკირების სათარეშო ობიექტია;

საგარეო ვალმა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც 3 მილიონამდეა, 10 მილიარდს გადააჭარბა;

ყოველწლიურად შიმშილითა და ავადმყოფობით 300-ზე მეტი ბავშვი იღუპება. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით პენსიონრები შიმშილის ზღვარს მიღმა არიან.

მილიონნახევარზე მეტი ქართველი საზღვარგარეთაა გადახვეწილი ლუკმა-პურის საშოვნელად...

ბატონო პრეზიდენტო, 26 წელზე მეტია საქართველოს მოღალატე დე-ფაქტო ხელისუფალთა ხელით ყველა შესაძლო ფორმით ხორციელდება საქართველოს ნგრევა და ქართველთა გამიზნული გენოციდი. ხუნტის მემკვიდრე დე-ფაქტო ხელისუფლების ერთერთი წარმომადგენელი, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამ მოკლე ხნის წინ ვიზიტით თეთრ სახლში ბრძანდებოდა...

კანონიერი ხელისუფლების დამხობამ იმდროინდელ აშშ-ს ხელისუფლებას საშუალება მისცა ინვესტიციები განეხორციელებინა ისეთ სფეროში, რაც ბიოლოგიური იარაღის წარმოებას უკავშირდება. 2002 წელს აშშ-მ საქართველოსთან გააფორმა შეთანხმება „ტექნოლოგიებისა და პათოგენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც უკავშირდება ბიოლოგიური იარაღის განვითარებას და ამავე სფეროში ინფორმაციის გაუვრცელებლობას“! 2011 წელს აშშ-ს თავდაცვის უწყებამ განახორციელა 300 მილიონიანი ინვესტიცია და დედაქალაქში, საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად სენატორების ლუგარ-ნანის პროგრამის მიხედვით აშენდა ლაბორატორია, რომელსაც რიჩარდ ლუგარის სახელი ეწოდა. ამ პროგრამის ფარგლებში სულ 22 ლაბორატორიაა აშენებული, სადაც მიმდინარეობს განსაკუთრებით საშიში დაავადებების ბაქტერიებისა და შტამების შესწავლა, მათ შორის ჯილეხის, ქათმის (H5N1) და ღორის (H1N1) გრიპისაც... ექსპერიმენტები მიმდინარეობს საქართველოს მოსახლეობაზე სხვადასხვა გრიპის ვირუსით ან საექსპერიმენტო ვაქცინით. ქართველ ხალხზე ასეთი „ზრუნვის“ შედეგად საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადებები, როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში, გავრცელებულია ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნე და სხვა პათოლოგიები და ბევრი სხვა დაავადებებიც... შესაბამისად, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სიკვდილიანობაც... „მსგავსი ლაბორატორიების შექმნა მიზნად ისახავს ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციისთვის გვერდის ავლას. „ლუგარის ლაბორატორია აეროპორტთან ახლოს მდებარეობს, ბომბების ჩატვირთვასა და იქიდან ვირუსების სხვა ობიექტებზე გადატანას დიდი დრო არ დასჭირდება“, – ბრძანა საქართველოს დე-ფაქტო პრეზიდენტ სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა, ბატონმა ჯეფრი სილვერმანმა...

ეს და ბევრი სხვა უწესრიგობანი ხდება მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაზეც 2007 წელს ისაუბრა რუსეთის პრეზიდენტმა, ბატონმა ვლადიმერ პუტინმა მიუნხენში გამართულ კონფერენციაზე. იგი წინ აღუდგა აშშ-ს მცდელობას ერთპოლუსიანი მსოფლიოს შექმნის შესახებ. ასევე დაგმო ამ ქვეყნის მისწრაფება მსოფლიო ჰეგემონიისკენ. მან ბრძანა, რომ 1999 წელს ხელმოწერილი იქნა ევროპის ადაპტირებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ევროპაში ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებას და ვარშავის ბლოკის ლიკვიდაციას. ნატოს ქვეყნებმა უარი განაცხადეს – ამ ხელშეკრულებას არ მოაწერდნენ ხელს, ვიდრე რუსეთი არ გაიტანდა თავის სამხედრო ბაზებს საქართველოდან და მოლდოვადან. როგორც ბატონმა პუტინმა ბრძანა, საქართველოდან, პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმებით დაწყებული იყო და დაჩქარებული ტემპებით მიდიოდა კიდეც რუსული შეიარაღებული ძალების გაყვანა...

სწორედ ამ დროს დასავლეთის რეაქციული ძალების მიერ შთაგონებულმა საქართველოს დე-ფაქტო პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოიწყო ტრაგიკული ავანტიურა – შუაღამისას მისი ბრძანებით ქართული საჯარისო ფორმირებები თავს დაესხნენ შიდა ქართლს, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს და მძინარე მოსახლეობას ბომბები დაუშინეს. (იხილეთ დასკვნა, გამოქვეყნებული ევროკავშირის სპეციალური მისიის მიერ ქალბატონ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით).

მიხეილ სააკაშვილი ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდა, დასავლეთი სამხედრო დახმარებას რომ არ დაჰპირებოდა... სხვათა შორის, ქალაქ სენაკის სამხედრო ბაზა, რომელიც რუსეთის ავიაციამ დაბომბა, გადავსებული იყო ამერიკული იარაღით... იმხანად მთელი სოცქსელები მოიცვა სააკაშვილის ფოტომ, სადაც ის ტელეფონის ყურმილით ხელში სასოწარკვეთილი და შეშფოთებული საკუთარ ჰალსტუხს ღეჭავს... მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო...

ეს ომი, რა თქმა უნდა, საქართველოს დამარცხებით დამთავრდა, რასაც მოჰყვა ქართველთა მორიგი მსხვერპლი, დანგრეული სოფლები, ლტოლვილების ახალი ტალღა და ყველაზე უმძიმესი, რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება... ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიის 20% პროცენტი დაიკარგა... თუმცა, რუსეთის მხრიდან ეს აღიარება არ მოხდებოდა, რომ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის მანძილზე ყველაზე სამარცხვინო პოლიტიკური მოვლენა, როდესაც ჯორჯ ბუშის (ახალგაზრდა) ადმინისტრაციის ზეწოლით 77 ქვეყანამ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა და მსოფლიოში ასეთი უკანონობის პრეცედენტი შექმნა...

ბატონო პრეზიდენტო, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას დამოუკიდებლობა გამოცხადებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1999 წელს. შეგახსენებთ, რომ ამავე წელს აშშ-პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და ნატოს ჯარების მიერ განხორციელდა სპეცოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს ასამბლეამ გამოაცხადა კოსოვოს სერბეთისგან გამოყოფა, რაც აღიარებული იქნა აშშ-ს, ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ. სწორედ ამ ფაქტმა გზა გაუხსნა რუსეთს ეღიარებინა ძირძველი ქართული მიწა-წყლის, აფხაზეთისა და შიდა ქართლის, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა... ყველა ეს უბედურება, რაც თავს დაატყდა საქართველოს 1991 წლის 6 იანვრის შემდეგ, შედეგია კანონიერი ხელისუფლების დამხობისა.

ამ ბოლო ხანებში იყო ასევე ტერორისტების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და გადაადგილების არაერთი შემთხვევა... რაც შეეხება მიგრაციას, ისეთი ფორმით მიმდინარეობს უცხოტომელების საქართველოში გამიზნული შემოყვანა, რომ თუ ასე გაგრძელდა, მოკლე ხანში ქართველებიც, ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები აბორიგენი ერის მსგავსად, რეზერვაციაში აღმოვჩნდებით...

მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, თუ სიტყვა გამიგრძელდა. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ უბედურებისა, რასაც ადგილი აქვს საქართველოში ბოლო 26 წლის მანძილზე და შედეგია საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების სამხედრო შეიარაღებული გადატრიალებისა, რამაც დასაბამი მისცა საქართველოში უკანონობისა და უსამართლობის აღზევებას... ეს კი ძირს უთხრის ქართული სულიერებისა და თვითმყოფადობის ხუთიათასწლოვან ისტორიას. თუმცა ლეგიტიმურ ხელისუფლებათა დამხობის პროცესი საქართველოს რესპუბლიკით არ დაწყებულა და არც მისით დასრულებულა... შემდეგ იყო „არაბული გაზაფხული“, უკრაინაში იანუკოვიჩის ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა და აგერ უკვე 6 წელია მიდის ყოვლად უსამართლო სისხლისმღვრელი ომი სირიაში, მისი პრეზიდენტისა და მთავრობის წინააღმდეგ... აღარაფერს ვამბობ ცენტრალურსა თუ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მიმდინარე სახელმწიფო გადატრიალებათა (სამხედრო თუ საპარლამენტო) შესახებ დაწყებული ნიკარაგუით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, დაგეგმილი და ხელშეწყობილი თქვენს წინამორბედ ხელისუფალთა მიერ.

ბატონო პრეზიდენტო, თვალყურს ვადევნებ რა თქვენს მოღვაწეობას, ვხედავ რაოდენი სირთულეებისა და წინააღმდეგობათა დაძლევა გიწევთ თქვენი ქვეყნის სამართლის ნორმებისკენ შემობრუნების გზაზე. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს წერილი, გარკვეულწილად, მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას თქვენს წინამორბედ ხელისუფალთა მოღვაწეობის შესახებ და გაგიადვილებთ ბრძოლას მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად... ერთად ვუთხრათ უარი უხეშ სამხედრო ძალას და გადავაქციოთ პლანეტა დედამიწა მართლაც მშვიდობისა და სიყვარულის ოაზისად!...

როგორც საქართველოს რესპუბლიკის დღემდე ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია ბრძანებდა:

„იარაღი უძლურებაა! ძალა არის ზნეობა, სიმართლე, მორალი“!

ქართველი ხალხი დღესაც იმ იმედითაა, რომ აღსდგება საქართველოში კანონიერი ხელისუფლების იურისდიქცია, რაც ერთადერთი გზაა საქართველოსა და ქართველი ერის გადასარჩენად.

თქვენც ხომ იმ იმედით აგირჩიათ ამერიკის მოსახლეობის გონიერმა ნაწილმა, რომ ქვეყნის ცხოვრების სამართლიან პრინციპებზე გადსავლას დაპირდით?!...

გფარავდეთ ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა!



* * *

ბატონო პრეზიდენტო, ეს წერილი უკვე დასრულებული იყო, როდესაც მომაწოდეს ინფორმაცია, რომ აშშ-ს ელჩი საქართველოში, ბატონი იან კელი დაინტერესდა საქართველოს პრზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მკვლელობით და მიუთითა კიდეც გამოძიების დაწყების შესახებ. მინდა ბატონ ელჩს შევახსენო, რომ ჯობს გამოძიება დაიწყოს ფაქტიდან, როდესაც 1990 წლის ნოემბერში კუნძულ მალტაზე, ერთ-ერთი სამხედრო კრეისერის ბორტზე შედგა შეხვედრა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას – მიხეილ გორბაჩოვს, ედუარდ შევარდნაძეს და აშშ-ს მაშინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და ვიცე- პრეზიდენტ ჯეიმს ბეიკერს შორის. სწორედ ამ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ საბჭოეთი თმობდა თავის გავლენას ბალტიის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაზე, ხოლო ყველა დანარჩენი რესპუბლიკა სახეშეცვლილი ესენგეს შემადგენლობაში დარჩებოდა... ასევე, გორბაჩოვ-შევარდნაძემ მიიღო სიტყვიერი დაპირება, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, რაც ცრუ დაპირება აღმოჩნდა... ფაქტობრივად, ამ შეხვედრაზე გადაწყდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკისა და მისი დღემდე ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ბედიც...

**ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფის სახელით:**
**ნანა ტატიაშვილი, მარიამ ხუბულავა, მერი ხორბალაძე**

**ასევე, სირიაში ზვიად გამსახურდიას**
**ერთგულ 3035 თანამებრძოლთა სახელით:**
**მართა სავანელი, ალექსანდრე მარიამიძე, სალომე მჭიტური, დავით ჯანდიერი, ბერდია ღუდუშაური, ლაშა გამსახურდია, დიანა სააკაშვილი**

**9 სექტემბერი, 2017, დარიენი, კონექტიკუტი.**
**ამერიკის შეერთებული შტატები**

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

### „ბაბილონის გოდოლამდე აღდგენილი უძველესი დედა ენა“

„ბაბილონის გოდოლამდე აღდგენილი უძველესი „დედა ენა“ – სტატია ამ სათაურით პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა. „ნეიშენელ აკადემიოს საინსის“ საიტზე დაყრდნობით, „ფოქს ნიუსის“ მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ დიდი დაინტერესება გამოიწვია. პუბლიკაციაში საუბარია კვლევაზე, რომლის თანახმადაც 15000 წლის უკან ევროპელი და აზიელი ადამიანების წინაპრები საერთო ენაზე საუბრობდნენ რომლის ფუძე, სავარაუდოდ, ქართული იყო. მეცნიერებმა რამდენიმე სიტყვის წარმომავლობა გამოიკვლიეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ სიტყვების ფუძე კავკასიაში, კერძოდ, ახლანდელ საქართველოშია. კვლევა მეცნიერებს საშუალებას მისცემს უძველეს მიგრანტთა და პრეისტორიულ კულტურათა შორის კავშირი აღადგინოს. მარკ პეგელის აზრით, ენების კვალის პოვნა 15000 წლით უკან არის შესაძლებელი. „კაცობრიობის უნივერსალური ენის არსებობის იდეა სათავეს ბიბლიიდან იღებს, სადაც ადამიანები საერთო ენაზე საუბრობდნენ, თუმცა ბაბილონის გოდოლის მშენებლობისთვის ჩვენ დავისაჯეთ და სხვადასხვა ენაზე ავლაპარაკდით. საერთო ენის წარმომავლობის ამ ვერსიას ყველა ლინგვისტი არ იზიარებს. მკვლევართა ნაწილი ფიქრობდა, რომ ენის ფესვების მიკვლევა მხოლოდ 3 ან 8 ათასი წლით უკან არის შესაძლებელი, თუმცა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ენის კვალს 15000 წლის წინანდელ პერიოდამდე გავყვეთ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების ხანის დასასრულს შეესაბამება.“

კვლევაში, მარკ პეგელი იმ 23 სიტყვას ასახელებს, რომლებიც, შესაძლოა, დღესაც ისევე ჟღერდეს, როგორც 15000 წლის უკან. მაგალითად: მე, შენ, დედა, ხელი, კაცი, ცეცხლი... რომლებმაც გაუძლეს საუკუნეებს და არსებობს ასობით თანამედროვე ენაში. ფაქტობრივად, გაქარწყლდა მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცება, რომ სიტყვა 8–9 ათასი წელი ცოცხლობს და შემდეგ კვდება.

უილიამ კოფტი: – „სტატიაში გამოქვეყნებული ეს კვლევა მკვლევარებს საშუალებას მისცემს შეაჯერონ ლინგვისტების, არქეოლოგებისა და ანთროპოლოგების მიერ შედგენილი მონაცემები კაცობრიობის პრეისტორიის მოყოლის მიზნით. ამის საშუალება უძველესი მიგრანტებისა და ადამიანთა შორის კავშირების აღდგენის ხელახალ საშუალებას მოგვცემს.“

აღნიშნულ სტატიას გამოეხმაურა ბატონი გია კვაშილავა, რომელმაც სამართლიანად განაცხადა, რომ ეს მოსაზრება სიახლე არ არის და სვიტჩის თეორია გაიხსენა, – რომ სემიტურის, ინდო-ევროპულის, ქართველურის, დრავიდულის და ალთაურ ენებთან გაერთიანებით აღადგინა წინარე ენა, რომელსაც პირობითად ჰქვია „ნოსტრატული“. ნოსტრატული ენა გავრცელებული იყო სავარაუდოდ XVI ათასწლეულიდან XI ათასწლეულის ჩათვლით, ხოლო გავრცელების სავარაუდო ტერიტორიად მითითებულია სამხრეთ კავკასია, კერძოდ, მცირე კავკასიის ქვემოთ. ბატონი კვაშილავა მიუთითებს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ენის სპეციალურ ლექსიკონზე სადაც 3805 სიტყვაა ჩამოთვლილი, სადაც სხვადასხვა ენებზე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. მეცნიერის თქმით, საერთო სიტყვები სწორედ ქართულმა ენამ შემოინახა.

სხვათაშორის, „იუთუბიზე“ შესაძლებელია რუსი მღვდლის ქადაგების მოსმენა იმის შესახებ, რომ რადგან ქართველებს არ მიუღიათ მონაწილეობა ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში, ამიტომ არ დასჯილან და მათი ენა არ შეცვლილა...

15 000 წლის წინანდელ პერიოდზე ძალაუნებურად კვლავ პროფესორი ალეკო ცინცაძე გაახსენდება მოაზროვნე ადამიანს, რომელმაც, ფაქტობრივად, დაამტკიცა, რომ ქართული ანბანი უძველესი წარმოშობისაა: „მე დამტკიცებული მაქვს, რომ ივერიული ალფავიტი, რომელსაც ჩვენ ასომთავრულს ვუწოდებთ, ასეთი სახით, სირიუსის მე-7 ეპოქალური ამობრწყინების დროს შეიქმნა 13 118 წელს (ჩწა) [13 118+2016=15 134], ანუ 15 134 წლის უკან.

ივერიული დამწერლობა არიული რუნებიდან იღებს სათავეს და მისი მოდიფიცირებული ვარიანტია. ივერიული ენა არიულ ენას გამოეყო მერწყულის წარღვნის (23214) შემდეგ და იგი ნოეს შვილიშვილის – თარგამოსის და შვილთაშვილის – ქართლოსის სახელთანაა დაკავშირებული. მოკლედ, არიული რუნების ივერიულ რუნებად ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო 25 200 წლის წინათ და ივერიულ ანბანად დაკანონდა 15 134 წლის წინათ. (საუბარია 2016 წელს – ავტ)

ჭეშმარიტმა მკვლევარებმა კარგად იციან, რომ **C-14** მეთოდი იძლევა ყალბ თარიღებს. 2000 წლის ქრისტეს – **Туринская плащаница** ოფიციალურმა ცრუ მასონურმა კვლევამ **C-14** მეთოდით 691 წლით დაათარიღა, ანუ ასაკის თითქმის 2/3 მოიპარა. „ტურინული ნარმა“ ეფინა სუფრაზე ქრისტესა და მოციქულების უკანასკნელი ვახშმის დროს (საიდუმლო სერობა). მასონიზირებული ყალბი სამეცნიერო ეპოქის მმართველები ცდილობენ ყველაფერი გააყალბონ არა მხოლოდ ისტორიაში, რელიგიაშიც. მაგალითად **C-14**-ის ყალბი მეთოდი 12400 წლის წინათ მომხდარ ბირთვულ კატასტროფას ათარიღებს **2 880 (880 B.C.)** წლით, იპარავს რა ისტორიიდან თითქმის 9 600 წელს. ამას ამტკიცებს ეს ცხრილიც, რომელიც ამერიკელი და

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [an] | [ban] | [gan] | [don] | [en] | [vin] | [zen] | [he] | [tan] |
| A 1 | B 2 | G 3 | D 4 | E 5 | V 6 | Z 7 | - 8 | T 9 |
| [in] | [kan] | [las] | [man] | [nar] | [ie] | [on] | [par] | [Žan] |
| I 10 | K 20 | L 30 | M 40 | N 50 | - 60 | O 70 | - 80 | - 90 |
| Atlanto-Iberian | | | | [rae] Ra R 100 | “ივერიული ასომთავრული” | | | |
| [san] | [tar] | [khe] | [phar] | [qan] | [ghan] | [qtan] | [ʃin] | [tʃin] |
| S 200 | - 300 | - 400 | Pʰ 500 | Q 600 | - 700 | - 800 | ʃ 900 | tʃ 1000 |
| [can] | [dzil] | [tsil] | [char] | [xan] | [qar] | [jan] | [hae] | [hoe] |
| C 2000 | - 3000 | - 4000 | - 5000 | - 6000 | - 7000 | J 8000 | H 9000 | - 10000 |

ევროპელი მაღალი დონის ფიზიკოსების შრომატევადი კვლევების შედეგია.

ამგვარად, გრაკლიანის დამწერლობის მასონური **C-14** დათარიღება ნიშნავს არა 3000 წელს არამედ 12500 წელზე მეტს. გრაკლიანის წარწერის დეტალურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ იგი 12500 წელზე რამდენიმე ათასი წლით უფრო ძველი უნდა იყოს.

გრაკლიანის წარწერა ადრეული ივერიული იეროგლიფური რუნების სახითაა წარმოდგენილი, სანამ ივერიული ანბანი ფენომენალურ-კოსმოგონიური ალფავიტის სახეს მიიღებდა – 13 118 ჩწა-მდე. ამ ანბანს ჩვენ ასომთავრულის სახელით ვიცნობთ.

პირველი რუნი-იეროგლიფი **Ankh**-ის ადრეული იეროგლიფია, რომელიც იშიფრება „უფალო“;

მეორე რუნი-იეროგლიფი სამყაროს უფლის იეროგლიფს წარმოადგენს, რომელსაც ივერიელები უწოდებდნენ „იეშვას“.

უფლის სახელი, რა თქმა უნდა, იწყება დიდი ასოთი, რომლის ქვედა მარჯვენა მხარეს ვხედავთ ძველ ივერიულ მაღალთავიან ასოს – „ა“. სამყაროს უფლის სახელი ორი ასოთია წარმოდგენილი. უფლის ეს იეროგლიფი სხვადასხვანაირადაა გამოსახული ღვთისმშობლის უძველეს ხატებზე მარჯვენა ზედა კუთხეში და განასახიერებს სამყაროს შემქმნელ ღმერთს „იეშვას“ რომელმაც სამყარო შვა. სწორედ სამყაროს უძველესი ღმერთის თანამედროვე დიალექტიკურ ფორმას წარმოადგენს ქრისტიანული სამყაროსთვის მაცხოვრის სახელი – „იესო“, ხოლო იეღოველებისათვის – „იეღოვა“.

ამ რუნ-იეროგლიფთანაა დაკავშირებული სლავურ ენებში ასო „**У**“, ხოლო ლათინურ ენებში ასო „**Y**“. ხაზი, ანუ სულიერი მფარველობის ნიშანი უფლის რუნის თავზე, ორიგინალში ცალკე უნდა ყოფილიყო, რომელიც საუკუნეების ეროზიის გამო თანდათან შეერთდა უფლის რუნ-იეროგლიფთან.

მესამე რუნი-იეროგლიფი სვასტიკის ადრეულ რუნ-იეროგლიფს წარმოადგენს. იგი რეინკარნაციის, ანუ სულის ხელახალი აღორძინების უდიდეს სიმბოლოს წარმოადგენდა. ხაზები ზედა მხარეზე სულიერი მფარველობის უძველესი ნიშნებია. თუ დიდ ყურადღებას არ მივაქცევთ გადაბმის ხაზს ან ქვის ეროზიას ქვედა მხარეს, იგი ორი გენ-ის „**Г**“ შეკავშირებას გამოსახავს და ხელახალ რეინკარნაციას გვიჩვენებს.

მეოთხე რუნი-იეროგლიფი ძალიან ჰგავს ელინურ ასოს – „მ“ (მიუ). იგი სულის რუნ-იეროგლიფს წარმოადგენს. ივერიულ, ლათინურ და სლავურ ენებში ამ ასოზე იწყება ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვები: მამაკაცი (მამრი), **Man (male) Мужчина.** ეს არ არის უბრალო დამთხვევა და ძველისაერთო ლინგვისტური კანონზომიერებაა. ყველაფერი პატრიარქალური ცხოვრების წესზე მიგვანიშნებს. ამ უცნაურ იეროგლიფში მეორე ასოც იკითხება – „ხან“, რაც ნიშნავს მმართველს.

ივერიელმა ქურუმებმა და მათი სამწყსოს წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ **2.5–3.0m.** წმინდა სისხლის არიელში არ მოხდებოდა მათი სულის რეინკარნაცია, ისე სიცოცხლის შემდგომ ახალ ციკლში მართვის უფლება არ ექნებოდათ.

**1.5–2.0m** სიმაღლის, არიული რასის ასიმილირებულმა შთამომავლებმა – ივერიელებმა 15000 წელზე მეტი წლის წინ გამოაგზავნეს „მესიჯი“, თუ რეინკარნაციის რომელი ვარიანტი იყო მათთვის ყველაზე რეალური და სასურველი. რეინკარნაციის იეროგლიფი დაკავშირებულია სულის იეროგლიფთან, ხოლო სულის იეროგლიფი პირდაპირ შეერთებულია მმართველის იეროგლიფთან. ჩვენ აქ გვაქვს არიული რუნ-იეროგლიფების ფენომენალური კოდირება ივერიელი ქურუმების მიერ.

მოკლედ, ტექსტის დასაწყისში კოდირებული რუნი-იეროგლიფებით ივერიელი ქურუმები და მათი სამწყსოს წევრები უფალ იეშუას სთხოვენ სულიერ მფარველობას, სულის ხელახალი, ღირსეული რეინკარნაციის საშუალებით **2.5–3.0m**. წმინდა სისხლის არიელი მამაკაცის სხეულში.

ჩვენს დიდ წინაპრებს, ივერიელებს რომ სულის რეინკარნაციის ღრმად სწამდათ თანამედროვე ქართული ენითაც დასტურდება „მიცვალებულის სულის სამარეში წასვლით“.

რელიგიების მკვლევარებისთვის ცნობილია, რომ მიცვალებულის სულმა ახალ სხეულში რეინკარნაციამდე უნდა გადალახოს სიკვდილის სამი პორტალ (სამი მძიმე გამოცდის არეალი) – (**„Bardo“ – Bar of Death**), ანუ სამი არე („სამარე“). ამის შემდეგ ხდება სულის ღირსეული რეინკარნაცია და იგი შედის „სამ-ოთხეში“, ანუ გადადის სამოთხის საზღვარზე – მესამედან მეოთხე არეალში, დედამიწის წარმტაც ბუნებაში ცხოვრების გასაგრძელებლად (სუფრაზე და ბუნების წიაღში).

დანარჩენი იეროგლიფებიდან აღსანიშნავია ჰორიზონტზე ამომავალი მზის იეროგლიფი და საიქიოს იეროგლიფი „ნარმა“. ნარმა იყო სუფრის გადასაფარებელი უხეში ქსოვილი, რომელშიც ივერიელები მიცვალებულს ახვევდნენ, მისი სამოთხეში, ისევ სუფრასთან მოხვედრის იმედით, თვით ქსოვილი კი უდიდეს სიწმინდედ ითვლებოდა, რადგანაც სუფრაზე უფლის სადღეგრძელო ისმებოდა. ნათელია, რომ **Туринская плащаница**-ს სწორი თარგმანი იქნება „ტურინული ნარმა“. ჩვენ აქ გვაქვს მაცხოვრის ოჯახის, უძველეს ივერიულ-ხალდეური რელიგიური რიტუალებისადმი ერთგულება.

აღსანიშნავია აგრეთვე უძველესი დედა-დედოფლის ქალღმერთ ნოდის იეროგლიფი „**Д**“. უფრო გასაგებ ენაზე, იგი სამყაროს უზენაესი ღმერთის, იეშუას მეორე ნახევრის, ანუ მთელი სამყაროს ქალღმერთის იეროგლიფია. ეს იეროგლიფი უძველეს ღვთისმშობლის ხატებზე სხვადასხვაგვარადაა გამოსახული მარჯვენა ზედა კუთხეში. აქ გადმოცემულია ამომავალი მზის ხილვის უდიდესი სურვილი საიქიოში წასულთა სულების ღირსეული რეინკარნაციის შემდეგ, ნაყოფიერების უზენაესი ღვთაების, სამყაროს დედა-დედოფლის ნოდის მფარველობით.

აქ თეთრი რასის: Lსლავების, ელინების, ლათინების წინაპრების რელიგიური ცოდნის საწყისებთან გვაქვს საქმე. მე ვეთანხმები იმ მეცნიერების აზრს, რომ თანამედროვე ევროპეიდული, ანუ თეთრი რასის სამშობლო კავკასიაა. ამას ამტკიცებს ბიბლიაც.

მერწყულის ეპოქის საშინელი წარღვნის დროს, როცა ატლანტიკის ოკეანის წყალმა კავკასიამდე მოაღწია, კავკასიაში გადარჩენილი წმინდა სისხლის (2.5–3.0) მ არიული ოჯახის, ნოეს ოჯახის ისტორიით იწყება თანამედროვე არიულ-აბორიგენული ასიმილირებული თეთრი რასის ძირითადი გენეტიკური ხაზი – **R1b-Y; DNA.** ნოეს გენეტიკური კოდია მამაკაცი-343 (**R1b-Y; DNA.: M-343**)

მე უკვე დავამტკიცე, რომ გრაკლიანის გორის არტეფაქტების ცრუმასონური **C-14** მეთოდით 3000 წლით დათარიღება არის პირწავარდნილი სიყალბე. ჭეშმარიტი თერმოლუმინოსენციის მეთოდით, ეს ე.წ **C-14=3000წ**, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ეს წარწერა უნდა იყოს ივერიულ კოსმოგონიურ ალფავიტზე (ასომთავრულზე) ძველი, ანუ 13118+2016=15134 წელზე მეტი ხნის. (შენიშვნა-2017 წლისთვის უკვე 15135 წელი)

ყალბი მასონიზირებული **C-14** მეთოდით, არიული პირამიდები გიზას პლატოზე და სხვა არიული არტეფაქტები, ათეულობით წლების განმავლობაში, ვერანაირად ვერ გასცდა **2500–3000b.c** წლის ასაკს. ჭეშმარიტი თერმოლუმინოსენციის მეთოდი კი გიზას პირამიდალურ კომპლექსს 12400 წლის ასაკს მისცემს და სხვა არიულ არტეფაქტებსაც 10 000–15 000 წლით დააძველებს, რაც მასონიზირებული ყალბი სამეცნიერო ეპოქის მმართველებს არ „აწყობთ“.

რაც უნდა იხტუნონ მასონების მომეცნიერო „სწავლულებმა“ თავიანთი ნახშირბადული (ჩ-14) და სხვა ყალბი მეთოდებით, გიზას ფენიმენალური პირამიდალური კომპლექსის რეალური ასაკი ლომის ეპოქის საზღვრებშია.

(გაგრძელება იქნება)



# დიდი თეატრის მარადიული სოლისტი



**ფრაგმენტები წერილიდან „სგ“ 2015 N17**

„ცხოვრებაში ბევრ წარმატებას მივაღწიე. ვმღეროდი პრეზიდენტებისთვის, მეფეებისთვის, მაგრამ ყველაზე მეტად სხვა რამით ვამაყობ. პარიზში გამართული სოლო-კონცერტის შემდეგ, ელისეს მინდვრებზე რამდენიმე ადამიანი მომიახლოვდა, ერთი ოჯახის რამდენიმე წევრი ყოფილა.

დედა თავის 13 წლის ვაჟზე მიმითითებს და მეუბნება: ჩემი შვილი უარს ამბობს ქართველობაზე და მშობლიური ენის სწავლაზე. მიმტკიცებს, მე ფრანგი ვარ, თავი დამანებეთო. თქვენს კონცერტს დაესწრო და სრულიად შეიცვალა. მითხრა, არა, ქართველი ვარ, აუცილებლად თბილისში წამიყვანეთო და... ენის შესწავლაც დაიწყო. ნაამბობმა ისე შემძრა, რომ ბიჭუნას ჩემი ოქროს საათი ვუსახსოვრე. რამხელა ამბავია – თავისი ფესვებისადმი გულგრილი ფრანგი მე ქართველად ვაქციე!“

ეს ამაღელვებელი ეპიზოდი მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლის ზურაბ სოტკილავას ცხოვრებაში მოხდა. 50 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საოპერო ხელოვნებას, არის ყველა იმ წოდებისა თუ ჯილდოს მფლობელი, რაზედაც კი შეიძლება იოცნებოს ამ დარგში მოღვაწემ. იგი იმ იშვიათ მომღერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც დიდი თეატრის სამისდღეშიო სოლისტის წოდება მიანიჭეს (ევგენი ნესტერენკოს, ელენა ობრაზცოვასა და მაყვალა ქასრაშვილთან ერთად). ეს, ერთი შეხედვით, თითქოს გასაკვირია, რადგან ზურაბ სოტკილავა თეატრსა და მის ხელმძღვანელობას დაუფარავად აკრიტიკებდა, როცა საამისო საფუძველი უჩნდებოდა, მაგრამ ამას სკანდალი არ გამოუწვევია და ადმინისტრაციასაც არ დაუსჯია. სად მოძებნიდნენ ასეთ ტენორს?!.

სოხუმში დაიბადა. მამა სკოლის დირექტორი იყო, დედა – ექიმი. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს პატარა ბიჭუნა საოპერო ვარსკვლავი გახდებოდა, მსოფლიოს დაიპყრობდა, ხოლო მის უნიკალურ ხმას უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდებოდა. ცელქ და ხალისიან ბიჭს ყველაზე მეტად ფეხბურთი აინტერესებდ. 19 წლისა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახდა და ამ ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო, ორ წელიწადში კი თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა. ყველანაირი მონაცემი ჰქონდა, სახელგანთქმული ფეხბურთელი გამხდარიყო, რომ არა ერთი საბედისწერო შემთხვევა:

„1958 წელს ერევნის „სპარტაკს“ ვეთამაშებოდით. მოწინააღმდეგემ ხერხემალზე ფეხი უმლიერესად დამარტყა. ორივე ახალგაზრდა, ორივე ფიცხი – საკუთარი გუნდების მოგებას ვესწრაფვოდით. ერთმანეთს შევასკდი თ. მეც დამნაშავე ვიყავი, ისიც. უმძიმესი ტრავმით საავადმყოფოში მოვხვდი. ექიმებმა მითხრეს, მადლობა თქვი, სიარულს თუ შეძლებო. ასე გამოვეთხოვე დიდ სპორტს“.

ტრავმის შემდეგ ყოველდღე და სერიოზულად დაიწყო ვოკალში მეცადინეობა და თანდათან მიხვდა, რომ ეს საქმე მოსწონდა. ამასობაში დიპლომის დაცვის დროც მოვიდა. პრაქტიკაზე დონეცკის ოლქში გაგზავნეს.

როგორც ბატონი ზურაბი იხსენებს სამთო ინჟინრის დიპლომი 10 ივლისს დაიცვა, 12-ში კი კონსერვატორიაში ჩააბარა.

„მოსმენაზე რუბინშტეინის მძიმე ნაწარმოები შევასრულე. რექტორი მოვიდა, მომეხვია და მითხრა, შენი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნაო და თან მკითხა, სოლფეჯიო თუ იციო. არ ვიცოდი. ხვალ გამოცდაზე უჩემოდ არ შეხვიდეო. მეორე დღეს ჩამკიდა ხელი და შემიყვანა იმ დარბაზში, სადაც ორი ქართველი კომპოზიტორი გამოცდას იბარებდა. სხვები აუდიტორიიდან გაუშვა, გამომცდელებს კი უთხრა – ამ ბიჭს საგანი მე გამოვკითხე, ხუთზე ვერ მიპასუხა, ოთხიანი დაუწერეთო.

კონსერვატორიაში ბარიტონად მიმიღეს. ორი წელი ვსწავლობდი, ფრიადებს ვღებულობდი, მაგრამ როცა ლანცას, კარუზოსა და მარიო დელ მონაკოს ფილმები ვნახე, ვთქვი: „თუ ვიმღერებ, მხოლოდ ტენორი ვიქნები!“. პედაგოგმა ეს რომ გაიგო, მითხრა, მე კი მინდა ესპანეთის მეფე ვიყოო და გამომაგდო. კონსერვატორიიდან წასვლასაც კი ვფიქრობდი. საბედნიეროდ, აღმოვჩნდი დიდებულ დავით ანდღულაძესთან, რომელთანაც ჩუმად ვმეცადინეობდი. მაშინდელი მკაცრი კანონებით, ერთი პედაგოგისგან მეორესთან გადასვლა იკრძალებოდა. როცა ეს ამბავი გაიგეს, გარიცხვა უნდოდათ, მაგრამ კონსერვატორიის მაშინდელმა რექტორმა, შესანიშნავმა კომპოზიტორმა და დიდმა ქართველმა ოთარ თაქთაქიშვილმა გადამარჩინა“.

კონსერვატორიას უკავშირდება მისი ცხოვრების კიდევ ერთი მთავარი არჩევანი – მისაღები გამოცდების დროს აგურისფერ კაბაში გამოწყობილმა გოგონამ ნაცნობი თუ მეგობარი ყველა გოგონა დაავიწყა:

„როგორც კი დავინახე, მეგობარს ვკითხე, ვინ იყო. ელისო თურმანიძეა, პიანისტი, მეორე კურსზე სწავლობსო. არაფერი ვიცოდი მასზე, მაგრამ მაშინვე ვთქვი, ჩემი ცოლი გახდება-მეთქი. ასეც მოხდა. მასზე ხუთი წლით უფროსი ერთი კურსით ჩამოვრჩებოდი. ორი წელიწადი ახლოს არ გავკარებივარ – შორიდან ვეტრფოდი. ელისომ, ისევე როგორც მთელმა კონსერვატორიამ იცოდა, რომ მიყვარდა, ამიტომაც სხვა ბიჭები მასთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდნენ“.



მართალია, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იქორწინეს, მაგრამ მანამდეც სულ ერთად უწევდათ ყოფნა – ელისო თურმანიძე ზურაბ სოტკილავას კონცერტმაისტერი გახდა. შემდგომ, როცა თბილისის ოპერის თეატრში სოლისტად აიყვანეს, კონცერტებით საბჭოთა კავშირი მეუღლესთან ერთად მოიარა.

„უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი მეუღლის, რომელიც მთელი ცხოვრებაა მხარში მიდგას. ძნელია, გყავდეს ქმარი-ტენორი – მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო. ოჯახში ყველაზე ცუდი ბავშვი, რა თქმა უნდა, მე ვარ. ტენორი ყველაზე ცუდი ბავშვია და მისი მოვლა იოლი არ არის. ყველა როდი უძლებს ამას“.

ზურაბ სოტკილავა ბევრს მოგზაურობდა, ბევრ სოლო-კონცერტს მღეროდა. ამბობს, ბედნიერი ვარ, ყველა პარტია ვიმღერე, რაზეც კი მიოცნებიაო. ოტელოს როლისთვის იტალიის უმაღლესი ჯილდო მიიღო – ხელოვნების აკადემიის საპატიო აკადემიკოსად აირჩიეს. თავისი კარიერის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ცნობილ სცენაზე, დიდი ტრადიციების საოპერო თეატრებში მისთვის საოცნებო ყველა პარტია უმღერია, მას პარტნიორობას უწევდენ მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლები, აუსრულდა თითქმის ყველა ოცნება, რომლებზეც კი შეიძლება იოცნებოს მომღერალმა... როგორც ადამიანს კი აუსრულებელი რჩება ერთი სურვილი:

„დედა ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა – 49 წლისა. დიდი თეატრის დასში რომ ამიყვანეს, ძალიან მინდოდა, ჩემს პირველ პრემიერას დასწრებოდა. საგანგებოდ ემზადებოდა ზეიმისთვის – შეიკერა კაბა... ამ კაბით დავასაფლავეთ. ყველაზე მწარე ცრემლით დავიტირე. მამაჩემმა მეუღლის დაკარგვის შემდეგ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა. ახლა აფხაზეთში აღარავინ მყავს. იმ საშინელი მოვლენების დროს ჩემმა ბიძაშვილებმა ოჯახებიანად მიატოვეს თავიანთი სახლები და დევნილებად იქცნენ. ეს ჩემთვისაც უდიდესი ტრაგედია იყო.

ეს მეტისმეტად მტკივნეული თემაა, არ მინდა, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ... ერთხელ, შესანიშნავ მომღერალ ხიბლა გერზმავას ვუთხარი, სოხუმში წასვლა მინდა-მეთქი. იქ, მშობლების საფლავზე მინდოდა მისვლა, მაინტერესებდა, იქ რა ხდებოდა, რადგან, ვისაც არ დავუკავშირდი, ვერავინ იპოვა მათი საფლავები. მოულოდნელად ხიბლა შეკრთა და მითხრა, უნდა ვიკითხოო. მოგვიანებით დამირეკა – უფლებას არ იძლევიან. თქვენი იქ ჩასვლა პოლიტიკური აქცია იქნებაო. იმიტომ, რომ ქართველი ვარ?! მე ხომ დედასთან და მამასთან სასაფლაოზე მისვლა მინდოდა“.



**ელზა ნაბახტეველი**

**მინაწერი: დიდი თეატრის მარადიული სოლისტი მარადისობას შეუერთდა.**

**თითქმის ყველა ნატვრა აისრულა, ერთის გარდა — დედის და მამის საფლავზე ვერ მივიდა. გასულ კვირას დიდი მაესტროს ცხედარი თბილისის მიწას მიაბარეს...**

# საცხოვრებლად იდეალური ქვეყნები

ბევრისთვის იდეალური ქვეყანა – ეს არის სახელმწიფო, სადაც არ არის ომი და საპროტესტო აქციები, სტაბილური ეკონომიკით, სადაც მატერიალურად უზრუნველყოფილი ხარ, არ ხდება დანაშაული და თავს უსაფრთხოდ გრძნობ. კრიზისის ეპოქაში სამყარო დაუნდობელი ხდება, მაგრამ მშვიდობისმოყვარეობის გლობალური ინდექსის მონაცემებით, არსებობს ყველაზე მშვიდობიანი, საცხოვრებლად იდეალური ქვეყნები.


ყატარი

**დანია.** დანია საცხოვრებლად ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად არის მიჩნეული. დანიელები ეკონომიკური საკითხების მოგვარებას ამჯობინებენ შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართვას. დანიელები ძალზე კეთილმოსურნე და გულღია ადამიანები არიან.

**ნორვეგია.** მშვიდობისმოყვარეობის გლობალური ინდექსის მიხედვით ნორვეგია ერთ-ერთი მშვიდობიანი, სტაბილური, მეგობრული და უსაფრთხო ქვეყანაა საცხოვრებლად. ქვეყნის ხელისუფლების პრიორიტეტებია: ეკონომიკური სტაბილურობა, სოციალური განვითარება და მშვიდობის შენარჩუნება.

**სინგაპური.** დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული (1965) სინგაპური ცდილობს, ღირსეული მეზობლობა გაუწიოს სხვა ქვეყნებს მათთან სოციალური, სამშვიდობო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებით. სინგაპური ურთიერთობს გაეროსთან, არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. სინგაპური ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი და უმდიდრესი ქვეყანაა.

**სლოვენია.** ეს ულამაზესი ევროპული ქვეყანა „იდეალური ქვეყნების" რეიტინგში მოხვდა. ქვეყანაში ძალიან დაბალია ორგანიზებული შინაგანი კონფლიქტები, სამოქალაქო და გარე ომების რაოდენობა.

**შვეცია.** ერთ-ერთი ყველაზე ლამაზია სკანდინავიის ქვეყნებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ შვეცია ევროპაში ყველაზე მსხვილი იარაღის ექსპორტიორია, შვეციას ორას წელზე მეტია, მონაწილეობა არ მიუღია ომებში. ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილი მიმართულია ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მშვიდობისმოყვარეობის გლობალური ინდექსის მიხედვით, შვეცია ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და სტაბილური ქვეყანაა მსოფლიოში.

**ისლანდია.** ისლანდია ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ და სტაბილურ ქვეყნად არის აღიარებული, რადგან მსოფლიოში არც ერთ კონფლიქტში არ მიუღია მონაწილეობა. ქვეყნის ხელისუფლება ასწლეულების განმავლობაში ახდენს ეკონომიკასა და ქვეყნის განვითარებაში ინვესტირებას.

**ბელგია.** მშვიდობისმოყვარეობის გლობალური ინდექსით ბელგია არამარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში ცხოვრებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ ადგილად ითვლება. ბრიუსელი ევროკავშირისა და ნატოს შტაბბინების ადგილსამყოფელია.

**შვეიცარია.** შვეიცარიაში ათწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებს ღირსეული ხელისუფლება. მისი ხარისხის მაჩვენებელია პოლიტიკური არასტაბილურობის ყველაზე დაბალი დონე. შვეიცარია ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ნაიტრალურია, მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან.

**იაპონია.** იაპონია ეკონომიკური მდგომარეობით მსოფლიოში მესამე ადგილზეა. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ის ძალიან მშვიდი ქვეყანაა შიდა კონფლიქტების გარეშე. ქვეყანას გააჩნია შესაძლებლობები, მოაგვაროს შიდა უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მშვიდობა. იაპონია მშვიდობიანი ქვეყანაა.

**ფინეთი.** განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფინეთის განათლების სისტემა, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო განათლების სისტემათა შორის მეხუთე ადგილი უკავია.


ავსტრალია

**კანადა.** ცხოვრების დონით კანადას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ეს ქვეყანა მშვიდობიანი და სტაბილური ქვეყანაც გახლავთ, სადაც 33 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. საცხოვრებლად ერთ-ერთი საუკეთესოა, აქ უსაფრთხო ქალაქებია და კეთილმოსურნე ადამიანები ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ კანადას მაღალი სამხედრო პოტენციალი აქვს, შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობას არ იღებს.

**ავსტრალია.** ავსტრალია თითქმის აშშ-ის ტოლია, მისი მოსახლეობა კი მხოლოდ 20 მილიონია. სტაბილური პოლიტიკური სისტემა და ჯანდაცვის მაღალი სტანდარტები ავსტრალიას უსაფრთხო და მშვიდ ქვეყანად აქცევს.

**პორტუგალია.** მსოფლიოში ერთ-ერთ მშვიდ ქვეყნად ითვლება, ევროკავშირის წევრია და მისი ეკონომიკა მსოფლიო ბანკის მონაცემებით მსოფლიოში 43-ე ადგილზეა. ქვეყანაში ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაღალი ტემპი აღინიშნება. მაღალი ცხოვრების დონე და სტაბილური ხელისუფლება ცხოვრებისთვის საუკეთესო ადგილად აქცევს.

**ყატარი.** ახლო აღმოსავლეთში ყველაზე სტაბილური და განვითარებული მრეწველობის ქვეყანაა. აღმოსავლეთის ყველაზე ბოქნილი და ლიბერალური ქვეყანაა, სადაც ქალებს ბევრი უფლებაი აქვთ, მათ შორის, მუშაობის, მანქანის ტარების და ხმის უფლება. ქვეყანამ უფრო მყარი და განვითარებული ეკონომიკის კურსით მიდის.

**მავრიკია.** აფრიკაში ყველაზე მშვიდობიან ქვეყნად არის აღიარებული. სტაბილურობა მომსახურების მდიდარი მენეჯმენტისა და ქონებრივი დაგეგმარების საიმედო საფუძველს ქმნის. ასეთ სტაბილურ, მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება დიდი ბედნიერებაა.

**ქუვეითი.** აქ ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის არ მოხვდა ქუვეითი. ამ პატარა ქვეყანაში 3,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მოქალაქე მხოლოდ 1 მლნ-ია. მათზე ნაწილდება ნავთობის გაყიდვით შემოსული მოგება.

ახალდაქორწინებულებს სახელმწიფო 250 000 დოლარს აძლევს დახმარების სახით; მასწავლებლის ხელფასი 15 000 დოლარია; მედიცინა და განათლება – უფასო; პენსია 3 000 დოლარი; განქორწინებულ ქალს ყოველთვიურად 1400 დოლარს უხდიან, ვიდრე სამსახურს არ იშოვის; კრედიტის მაქსიმუმი 250 000 დოლარია პროცენტის გარეშე; ფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და მკურნალობა; ყოველთვიურად ხელფასზე დანამატი 50%-ია; პენსიაზე გასვლისას 18 თვის ხელფასსის ოდენობის ერთდროული დახმარება გაიცემა...

ყველა ბონუსი მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებზე ვრცელდება. მოქალაქეობის მიღება კი თითქმის შეუძლებელია, ალბათ, ამიტომაც ვერ მოხვდა ქუვეითი საცხოვრებლად იდეალური ქვეყნების რეიტინგში...

თვითმხილველების თქმით, ქუვეითის დათვალიერება ერთ დღეში შეიძლება და იქ დაბრუნება არასოდეს მოგინდება...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


შვეიცარია

# ალეკო გაბელაიას ხსოვნას



**ათასქარტეხილგამოვლილი ჩემი თაობა ნელ-ნელა მიდის ამ ქვეყნიდან.**

**მიდის ზუსტად ისე, როგორც იცხოვრა და იმოღვაწა — უხმაუროდ, ჩუმად, რაღაცნაირი კრძალვით და რიდით.**

**ალეკო გაბელაია ჩემი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იყო, რომელიც თავისი თაობის ყველა გამორჩეულ ნიშან-თვისებას ატარებდა.**

**ნიჭიერი პოეტი, ნიჭიერი მთარგმნელი, შესანიშნავი პუბლიცისტი, ნამდვილი პროფესიონალი ლიტერატორი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ამავე დროს საოცრად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი, ნამდვილი პატრიოტი, თავისი ქვეყნის ერთგული მსახური — ასეთი იყო ალეკო გაბელაია, სამწერლო საზოგადოებაში პატივისცემით მიღებული და დაფასებული პიროვნება, მაგრამ მკითხველთა ფართო წრეებისთვის ნაკლებად ცნობილი.**

**ესეც ჩვენი თაობის ტრაგედიაა — იმდენი ნაგავი და ხარახურა დააყარეს თავზე როგორც ჩვენს თაობას, ასევე, ზოგადად, მთელ ქართულ მწერლობას, იქიდან ხმის მიწვდენა საზოგადოებისთვის ძალიან რთული და ძნელი საქმეა.**

**დრო გაივლის, დრო ამ ნაგავს და ხარახურას გადაგვის და გადაყრის და მაშინ მკითხველი ხელახლა აღმოაჩენს შესანიშნავ პოეტს ალეკო გაბელაიას და მასთან ერთად კიდევ სხვებს...**

**მშვიდობით, ძმაო ალეკო, ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა...**

**ვახტანგ ხარჩილავა**


საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com